საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან.
№ 182 (202)
ხუთშაბათი, 19 სექტემბერი, 1991 წელი
ფასი 10 კაპიკი

საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს მეორე სესიის მეორე სხდომის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს მეორე სესიის მეორე სხდომა გაიმართება 1991 წლის 19 სექტემბერს 11 საათზე საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სხდომათა დარბაზში (პ. ინგოროყვას № 7).

უზენაესი საბჭოს დეპუტატთა რეგისტრაცია იწარმოებს 9 საათსა და 30 წუთიდან.

სხდომაზე მოწვეულნი არიან საქართველოს გაუქმებული კომპარტიისაგან საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატები, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის წევრები, რესპუბლიკის პრეფექტები.

დღის წესრიგი

ᲡᲮᲓᲝᲛᲘᲡ განსახილველად შეტანილია შემდეგი საკითხები:

1. ლ. ანდღულაძისა და გ. მარშვილის სადეპუტატო უფლებამოსილების აღდგენის შესახებ.

2. საქართველოს რესპუბლიკის გაუქმებული კომპარტიისაგან საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატების უფლებამოსილების შესახებ.

3. საქართველოს რესპუბლიკაში შექმნილი პოლიტიკური ვითარების შესახებ.

4. 1991 წლის 2 სექტემბერს თბილისში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით კომისიის შექმნის შესახებ და ამ ფაქტის გამო საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორისა და საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის ინფორმაციები.

5. ეკონომიკურ რეფორმებთან და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ინფორმაცია.

6. სახელმწიფო ქონების პრივატიზების ჩატარების ორგანიზაციულ ღონისძიებათა შესახებ.

7. ზამთრისათვის მზადების თაობაზე საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ანგარიში.

8. ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტებისათვის კონსტიტუციური კანონების ძალის მინიჭებისა და საქართველოს რესპუბლიკაში მათი უშუალო მოქმედების შესახებ.

9. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციასა და მინისტრთა კაბინეტის შესახებ კანონში ცვლილებებისა და დამატებების თაობაზე.

10. საქართველოს რესპუბლიკაში მიტინგების, დემონსტრაციებისა და სხვა პოლიტიკური ხასიათის აქციების ორგანიზაციისა და ჩატარების წესის შესახებ.

11. საქართველოს რესპუბლიკის ყველა პოლიტიკური პარტიისათვის ტელევიზიით გამოსვლის უფლების უზრუნველყოფის შესახებ.

12. საცხოვრებელი ბინების პრივატიზების შესახებ.

13. მიწის კანონის შესახებ.

14. საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ახალი კანონის შემუშავებისა და არჩევნების ჩატარების ვადის განსაზღვრის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბრძანებულება

ჯ. მ. ფირცხალაიშვილის საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრად დანიშვნის შესახებ

ᲓᲐᲘᲜᲘᲨᲜᲝᲡ გენერალ-მაიორი ჯონი მიხეილის ძე ფირცხალაიშვილი საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ᲖᲕᲘᲐᲓ ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐ.

თბილისი, 1991 წლის 17 სექტემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბრძანებულება

ნ. ქ. გიორგაძის საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილედ დანიშვნის შესახებ

ᲓᲐᲘᲜᲘᲨᲜᲝᲡ პოდპოლკოვნიკი ნოდარ ქუჩუკის ძე გიორგაძე საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილედ.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ᲖᲕᲘᲐᲓ ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐ.

თბილისი, 1991 წლის 17 სექტემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბრძანებულება

ც. ს. გულედანის მესტიის რაიონის პრეფექტის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲓᲔᲡ ციალა სამსონის ასული გულედანი მესტიის რაიონის პრეფექტის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადაყვანასთან დაკავშირებით.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ᲖᲕᲘᲐᲓ ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐ.

თბილისი, 1991 წლის 17 სექტემბერი.

მიტინგები

მთავრობის სახლთან

ᲒᲣᲨᲘᲜ 4 საათზე კვლავ მოეწყო მთავრობის სახლთან ხალხმრავალი მიტინგი, რომელიც გახსნა ავთანდილ რცხილაძემ. მან ისაუბრა შექმნილი მწვავე პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ.

შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ: ე. თათარაშვილი, ე. პაპკორია, ი. ქაჯაია, ბ. გიორგობიანი, თ. ყურავა, ო. გოგავა, ვ. მაჭავარია, ე. ხახუბია, დ. ჩიქვილაძე, თ. ვაშაძე, ნ. გოგიბერიძე, ს. სერებრიაკოვი და სხვანი.

ორატორები ერთხმად აღნიშნავდნენ ოპოზიციონერთა უმართებულო მოქმედებასა და გამოსვლებს. ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტის შეურაცხმყოფელ ფაქტებს, რომლებიც მომიტინგეებმა ერთხმად დაგმეს.

დღის ბოლოს მიტინგზე გამოვიდნენ თეიმურაზ ქორიძე, გურამ ვამალოძე, ენვერ წულუკიძე, მუხრან მაჭავარიანი, სანდრო ბრეგვაძე, დილარ ხაბულიანი...

ბატონმა აკაკი ასათიანმა განაცხადა, რომ იგი სამთავრობო პოსტიდან გადადგომას არ აპირებს, ქვეყანას ახალი პარლამენტი სჭირდება, — თქვა მან, — პრეზიდენტი ამ პოზიციას იზიარებს.

მიტინგზე გამოსულმა, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ილაპარაკა მოსკოვის ამბებზე, თუ როგორ გამოააშკარავა ჭეშმარიტმა დემოკრატიულმა რუსეთმა აფანასიევისა და ბუკოვსკის სახით ე. წ. „დემოკრატების" გორბაჩოვის და შევარდნაძის ჭეშმარიტი სახე.

კეთილი ყოველთვის სძლევს ბოროტს და ეს უნდა იცოდეს ყველამ — თქვა მან.

●

ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ სახლის წინ მიმდინარეობს მოშიმშილეთა უვადო აქცია, რომელიც ახლახან შეიცვალა მჯდომარე აქციით.

აქცია წმინდა ილია მართლის საზოგადოებამ საქართველოს პრეზიდენტისა და ეროვნული პარლამენტის მხარდასაჭერად მოაწყო.

გასულ დეკემბერს დაწყებული აქცია წლეულს რვა სექტემბერს განაახლეს. მასში მონაწილეობენ: გაიოზ ამირიძე, ემზარ ლომთაძე, ვალერიან ყაულაშვილი, გიზო ჯაფარიძე, ზურაბ გოგიჩაშვილი და სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის გამგეობის წევრი მაუგლი ჩხიკვაძე.

მათი მოთხოვნებია: შეწყვიტოს ედუარდ შევარდნაძემ საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევა, კანონით დაისაჯონ 2 სექტემბრის დამნაშავენი, აგრეთვე დაისაჯოს ყველა ის პირი, რომლებიც ხელყოფენ ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტისა და ეროვნული პარლამენტის ღირსებას. ისინი აღნიშნავენ, რომ აქციას გააგრძელებენ, ვიდრე საქართველოში არ დამყარდება წესრიგი.

რუსთაველის პროსპექტზე

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲖᲔ, ძველი „იმელის" შენობის წინ კვლავ გრძელდება ოპოზიციონერ-მომიტინგეთა გამოსვლები. ისინი კვლავ მოითხოვენ პრესის, რადიოს, ტელევიზიის თავისუფლებასა და დაპატიმრებულთა განთავისუფლებას.

დღის საათებში, როცა ფაბრიკა „ივერიისა" და „თბილკონდიტერის" მუშა-მოსამსახურეების ჯგუფს, რომლებიც მიემართებოდნენ მთავრობის სახლის წინ მოწყობილ მიტინგზე, წინ გადაეღობნენ „ოპოზიციონერები" და არ მისცეს გზის გაგრძელების საშუალება. ისინი არ დაერიდნენ ფიზიკურ შეურაცხყოფასაც და მანდილოსნებს სცემეს. ერთი მათგანი, რომელიც ფეხმძიმედ იყო, საავადმყოფოში მოათავსეს.

ტელევიზიასთან

ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ ტელევიზიის შენობის პიკეტირება, რომელიც 16 სექტემბერს დაიწყო. გურამ ბერიშვილმა განმარტა პიკეტირების მიზეზი, რომ 15 სექტემბერს პირდაპირი ეთერით სესია არ გადაიცა, ამის გამო ოცდაცხრამეტმა დეპუტატმა დატოვა დარბაზი და მიმართეს ტელევიზიას დაეთმოთ მათთვის ეკრანი, მაგრამ მათ ეს მოთხოვნა არ შეუსრულეს. წინასწარ ჩაწერილი ფირი კი, რომელიც მოგვიანებით უნდა გადაეცათ, მოიპარეს. კანონი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების შესახებ დაირღვა, დამნაშავენი არ დაისაჯნენ.

სიტყვით გამოვიდა რუსთაველის საზოგადოების უფროსი რეფერენტი ელგუჯა ჯიქია, რომელმაც წაიკითხა მიმართვა ქართველი საზოგადოებისადმი.

ჟურნალისტმა ვალერი კვარაცხელიამ მხარდამჭერებს მოასმენინა რესპუბლიკის მოედანზე ჩატარებულ მიტინგზე ყოფილი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თენგიზ სიგუას ხმის ჩანაწერი, სადაც იგი ბრალდებებს უყენებს პრეზიდენტს. ვ. კვარაცხელიამ ამ შეკრებილთ განუცხადა, რომ ბატონი თ. სიგუა ბატონ ზვიად გამსახურდიას დებატებში იწვევს ტელევიზიის ღია ეთერში, სადაც აპირებს ბრალდების დასაბუთებას.

სიტყვით გამოვიდა ლევან ღვინჯილია, მან წაიკითხა იუნესკოში საერთაშორისო პრინციპებით მიღებული აქტი ჟურნალისტთა უფლებების შესახებ.

დავით ჭელიძემ მომიტინგეებს აცნობა, რომ შავნაბადიდან თენგიზ კიტოვანმა ეროვნული გვარდიის სახელით გაუგზავნა მიმართვა ზვიად გამსახურდიას, შეწყვიტოს მოსახლეობის წაქეზება და ხალხის შემოყვანა რაიონებიდან (ეს მიმართვა იბეჭდება ჩვენს გაზეთში).

●

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲘᲡ (საქინფორმის ფოტოქრონიკა) და **ᲗᲔᲓᲝ ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ** ფოტოები.

წინათქმა

თ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, მიწის რეფორმის ჩატა- გადამწყვეტი, შეიძლება ითქვას სასიცოცხლო მნიშვნელობა ა. ჩვენი ავადმყოფი და დეფორმირებული ეკონომიკის გაჯან- ისათვის სწორედ ამ სფეროში უნდა გადაიდგას, უპირველეს ისა, მტკიცე და კარგად მოფიქრებული, გააზრებული ნაბიჯები. არული რეფორმის ჩატარება წარმოუდგენელია ერთი რომელიმე უნივერსალური კანონით განხორციელდეს. ეს არის საკმაოდ ხანგრძლივი, წინააღმდეგობით აღსავსე და მტკივნეული პროცესი, რომელიც უნდა დაიწყოს იქნებ ხარისკოც, მაგრამ აუცილებელი ნაბიჯებით და დამთავრდეს იმით, რომ ქართულმა მიწამ ბოლოსდაბოლოს იპოვოს თავისი ნამდვილი პატრონი — ქართველი გლეხი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობისა და ეკოლოგიის კომისიაში წამყვანი სპეციალისტების მონაწილეობით რესპუბლიკაში აგრარული პოლიტიკის განსაზღვრის მიზნით მომზადდა კანონპროექტთა პაკეტი.

დღეს ფართო სამსჯავროზე განსახილველად გამოგვაქვს კანონპროექტი მიწის რეფორმის შესახებ.

კანონპროექტის თაობაზე გამოთქმული ყველა შენიშვნა და წინადადება შეგიძლიათ გამოგზავნოთ უზენაესი საბჭოს სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობისა და ეკოლოგიის კომისიაში.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

პროექტი

მიწის რეფორმის შესახებ

კანონი არეგულირებს სას- -სამეურნეო დანიშნულების ს სარგებლობასთან დაკავ- თ წარმოშობილ სადგილ- ო ურთიერთობებს.

იწის რეფორმის მიზნები

აქართველოს რესპუბლიკა- ის რეფორმის მიზანია:

მიწაზე სახელმწიფო საკუ- დემონოპოლიზაცია და ების სხვადასხვა ფორმე- მოღება. მიწის საკუთრებ- წათმფლობელობის და მი- გებლობის ინდივიდუალი-

ოფლის მეურნეობის ტრა- ლი დარგების, მიწის საკ- ს, მიწათმფლობელობისა ათსარგებლობის პროგრეს- ფორმების აღორძინება და რება;

იწების რაციონალური გა- ბა ეფექტიანი სასოფლო- ნეო წარმოების უზრუნვე- ფად; რაციონალური მი- გებლობის უზრუნველყოფა; სოფლარების აღსადგენად რელი პირობების შექმნა.

. მიწის რეფორმის პრინციპები

აქართველოს რესპუბლიკის რიის ფარგლებში არსებ- იწა შეადგენს საქართველ- ვნულ სიმდიდრეს. თველოს რესპუბლიკა მი- აენაესი მესაკუთრეა. რების ფორმების მიუხე- საქართველოს რესპუბლი- ჩნია მიწაზე განუყოფელი ნიტეტის უფლება. კანონ- ობით გათვალისწინებულ ვევებში სახელმწიფო მიწის რეებს, მიწათმფლობელებ- მიწათმოსარგებლეებს დაა- ს საჯარო ვალდებულებებს. აწა საკუთრებად ან მფლობ- აში გადაეცემათ მხოლოდ ველოს რესპუბლიკის მო- ებს.

ელ მოქალაქეებს ან მო- ობის არმქონე პირებს მი- ძლება გადაეცეს მხოლოდ ით სარგებლობაში.

ლაქეთა საკუთრებად მიწ- დაცემა დაემყარება სოცი- სამართლიანობის მოთხ- . სოფლის მეურნეობაში ული მოქალაქის ეკონომი- საქმიანობისათვის იქმნება რი საწყისი პირობები. მი- ლების შესაძლებლობა მი- იმათ, ვინც დაამუშავებს

იწის საკუთრების, მიწათ- ელობისა და მიწათსარგებ- ფორმების განსაზღვრისას სობა ენიჭება ინდივიდ- ი მიწის საკუთრების, მიწ- ობელობისა და მიწათსარ- ბის ფორმებს.

იწაზე მოქალაქეთა საკუთ- უფლების წარმოშობის რთ საფუძველს წარმოადგ- აკუთრების უფლებას მოპ- განსაზღვრული ვადით მი- ამუშავების პირობით (იმა- ლაცია);

მიწის რეფორმის გატარებ- ფუძლად უდევს ეკოლოგ- ინტერესების პრიმატი.

ს მესაკუთრეების, მიწათ- ბელებისა და მიწათმოსარ- ების უფლებები შეიძლება უდოს იმდენად, რამდენად- ს მოითხოვს გარემოს დაც- ნტერესები.

მიწების ადრინდელი მესა- ებისთვის მიწის ნაკვეთე- აბრუნება საკუთრებად ან ბელობაში არ დაიშვება. მათ საკუთრებად ან მფლობელ- მიეცემათ საერთო საფუ- ე.

მიწის რეფორმის გატარების დროს მხედველობაში მიიღება ჩვეულებითი, ტრადიციული და ადათობრივი ნორმები.

9. სახელმწიფო უზრუნველყოფს მიწის რეფორმის გატარებას ცხოვრებაში.

III. მიწის საკუთრების ფორმები

10. მიწა შეიძლება იყოს სახელმწიფო და კერძო საკუთრება.

11. სახელმწიფო საკუთრებას შეადგენს ყველა ის მიწა, რომელიც ამ კანონით და სხვა საკანონმდებლო აქტებით დადგენილი წესით არ გადასულა ფიზიკური და იურიდიული პირების საკუთრებად.

სახელმწიფო საკუთრებას შეადგენს ის მიწები, რომელთაც სახელმწიფოსათვის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვთ, აგრეთვე ის მიწები, რომელთა ნაყოფიერების ამაღლებისათვის, მელიორაციისათვის ან სხვა ამგვარი ღონისძიებებისათვის სახელმწიფოს გაღებული აქვს ხარჯები. ეს მიწები შეიძლება გაიცეს იჯარით, მიწათმოსარგებლეებზე ან ფიზიკურ პირებზე მფლობელობაში მემკვიდრეობის უფლებით.

სახელმწიფო საკუთრებაა ის მიწები, რომლებიც დარეზერვებულია შიდარესპუბლიკური მიგრაციებისათვის. ეს მიწები გაიცემა მხოლოდ სარგებლობაში.

სახელმწიფო საკუთრებად რჩება ის მიწები, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით რესპუბლიკისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა.

12. სახელმწიფო მიწები შეიძლება გაიცეს იჯარით, სარგებლობაში ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, აგრეთვე ფიზიკურ პირებზე მფლობელობაში მემკვიდრეობის უფლებით.

13. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციულ საწარმოებს, საზოგადოებრივ მეურნეობებს, რელიგიურ საზოგადოებებს, საქიცო საზოგადოებებს და სხვა იურიდიულ პირებს მიწის ნაკვეთები შეიძლება გადაეცეთ (ერთობლივ ან წილობრივ) საკუთრებად.

IV. მიწაზე მოქალაქეთა საკუთრება

14. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა კერძო საკუთრება შეიძლება იყოს:

ა) სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის გათვალისწინებული მიწა;

ბ) საკარმიდამო, სააგარაკო და საბაღე მიწები;

გ) საცხოვრებელი სახლის და სხვა უძრავი ქონების მშენებლობისა და მომსახურებისათვის საჭირო მიწები;

დ) ტრადიციული ხალხური სარეწებისათვის საჭირო მიწა.

15. საკარმიდამო, სააგარაკო და საბაღე მიწები ამჟამად მოქალაქეთა კანონიერ სარგებლობაში არსებული ოდენობით უსასყიდლოდ გადადის მათ საკუთრებად.

საკარმიდამო, სააგარაკო, საბაღე მიწის ნაკვეთები, თუ მათი მოსარგებლეები გარდაცვლილი არიან, გადადის იმ კანონიერ მემკვიდრეებზე, რომლებიც გამოთქვამენ ამ ნაკვეთების მიღების სურვილს. მემკვიდრეებს აღნიშნული მიწის ნაკვეთები გადაეცემა იმ შემთხვევაში, თუ ეს ნაკვეთები არ არის გადაცემული კანონით დადგენილი წესით სხვა მიწათმოსარგებლეებზე.

ნასოფლარებში მიწა გადაეცემათ საკუთრებად უსასყიდლოდ იმ სოფლების ყოფილ მცხოვრებლებს, თუ ისინი სურვილს გამოთქვამენ მისდიონ სოფლის მეურნეობას.

აღნიშნული მიწების მოქალაქეთა საკუთრებაში გადასვლის აუცილებელი პირობაა მიწის საკადასტრო ბარათი, რომელიც მიწის რეფორმის ორგანოს მიერ გაიცემა თითოეულ მესაკუთრეზე.

16. სასაქონლო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საწარმოებლად მოქალაქეებს მიწა გადაეცემათ მიწაზე საკუთრების უფლების მოპოვების პირობით — იმატრიკულაციის პირობით. ამ მიზნით მოქალაქეებს მიწა გადაეცემათ მთიან რაიონებში ათი, ბარის რაიონებში თხუთმეტი წლის საკონკურსო ვადით. საიმატრიკულაციო ვადის განმავლობაში ისინი ვალდებული არიან დაამუშაონ მიწა, აწარმოონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია არანაკლებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საშუალო საჰექტარო მოსავლიანობის რაოდენობისა. საიმატრიკულაციო ვადის გასვლის შემდეგ, თუ მოქალაქე დაამტკიცებს, რომ მას შეუძლია მოუაროს მიწას, მისდიოს მაღალპროდუქტიულ სოფლის მეურნეობას, მიწის რეფორმის სასოფლო, სათემო, სადაბო კომისიების გადაწყვეტილებით მიწა გადადის მოქალაქეთა საკუთრებად.

მოქალაქეებს მიწა შეიძლება გადაეცეს მხოლოდ ერთი გლეხური მეურნეობის შესაქმნელად.

17. მიწის რეფორმის რაიონული, საქალაქო კომიტეტები, სასოფლო, სათემო და სადაბო კომისიები მიწის კადასტრისა და მიწების ინვენტარიზაციის მონაცემების საფუძველზე ადგენენ მიწების საიმატრიკულაციო ზონებს. სახელმწიფოსათვის სტრატეგიული და განსაკუთრებული დანიშნულების მიწები საიმატრიკულაციო ზონებად არ დაიყოფა.

კოლმეურნეობების, საზოგადოებრივი მეურნეობების, სხვა კოოპერაციული სასოფლო-სამეურნეო საწარმოების სარგებლობაში არსებული მიწები აგრეთვე უნდა დაიყოს საიმატრიკულაციო ზონებად იმის გათვალისწინებით, რომ კოლმეურნეობებიდან, საზოგადოებრივი მეურნეობებიდან, სხვა კოოპერაციული სასოფლო-სამეურნეო საწარმოებიდან წევრების გასვლა მოხდეს მიწის მიღებით. ამ საწარმოების საიმატრიკულაციო ზონები განაწილდება თითოეულ წევრზე.

კოლმეურნეობების ან სხვა კოოპერაციული სასოფლო-სამეურნეო საწარმოების წევრებს, საზოგადოებრივი მეურნეობების მუშებსა და მოსამსახურეებს ამ ორგანიზაციებში მათი ყოფნის დროს უფლება აქვთ იმატრიკულაციის პირობით მიიღონ მიწის ნაკვეთები.

მიწაზე საკუთრების უფლების წარმოშობის შემთხვევაში მიწის მესაკუთრეებზე მიწის რეფორმის რაიონული, საქალაქო კომიტეტების მიერ გაიცემა მიწის საკუთრების აქტი.

18. სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის იმატრიკულაციის პირობით მიწები გადაეცემათ:

1. სოფლად მუდმივად მცხოვრებ და სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ მოქალაქეებს, რომელთა საქმიანობის ძირითადი სახე სოფლის მეურნეობაა;
2. სოფლად მუდმივად მცხოვრებ სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, რომლებიც მუშაობენ მიღებული სპეციალობის მიხედვით;
3. სოფლად მუდმივად მცხოვრებ მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც არ არიან დასაქმებული სოფლის მეურნეობაში;
4. სხვა მოქალაქეებს, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს მისდიონ სოფლის მეურნეობას.

ის მოქალაქეები, რომლებიც კისრულობენ ვალდებულებას დაამუშაონ მიწა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საწარმოებლად, არ უნდა იმყოფებოდნენ სახელმწიფო სამსახურში. იმ შემთხვევებში, როცა კომლი გამოთქვამს სურვილს მიიღოს მიწა სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის, კომლის ერთი შრომისუნარიანი წევრი მაინც არ უნდა იმყოფებოდეს სახელმწიფო სამსახურში.

19. საიმატრიკულაციო ვადის განმავლობაში მოქალაქეები ვალდებული არიან დაამუშაონ მიწა. ამ მიწაზე საკუთრების უფლების მოპოვებამდე მათ არა აქვთ უფლება გადაცემულ ნაკვეთზე ააგონ საცხოვრებელი სახლი ან სხვა კაპიტალური ნაგებობა, რომელიც არ იქნება დაკავშირებული სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან.

თუ მიწათმოსარგებლე ორი წლის განმავლობაში ზედიზედ არ დაამუშავებს მიწის ნაკვეთს, იგი კარგავს უფლებას ამ ნაკვეთზე.

20. მიწის რეფორმის ორგანოების გადაწყვეტილებით ცალკეულ სოფლებში, თემებსა და ქალაქებში იქმნება მიწის სპეციალური ფონდი ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის. ამ მიწების შეძენა საკუთრებად ხდება შესყიდვის გზით. მიწის ფასს განსაზღვრავს სპეციალური კანონმდებლობა.

21. უვარგისი მიწების გაკეთილშობილება და მათი გამოყენება სასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის საიმატრიკულაციო ვადის გარეშე წარმოშობს ამ მიწებზე საკუთრების უფლებას.

22. მიწის მესაკუთრეები ვალდებული არიან დაამუშაონ მიწა. მესაკუთრე, რომელიც სამი წლის განმავლობაში არ ამუშავებს მიწას, კარგავს უფლებას მასზე.

მიწის მესაკუთრეებს არ შეუძლიათ თვითნებურად შეცვალონ მიწის მიზნობრივი დანიშნულება: სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მიზნით.

23. მოქალაქეთა საკუთრებაში არსებული მიწების ყიდვა-გაყიდვა, გაცვლა, ჩუქება, ანდერძით გადაცემა და სხვა გარიგებები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

24. მიწაზე საკუთრების უფლება წყდება:

ა) სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გამოუყენებლობისას სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საწარმოებლად ზედიზედ სამი წლის განმავლობაში;

ბ) სასოფლო-სამეურნეო სავარგულების არამიზნობრივად გამოყენებისას;

გ) მიწის ნაკვეთზე ნებაყოფლობით უარის თქმისას;

დ) მიწის ნაკვეთის გამოყენებისას ისეთი მეთოდებით, რომლებიც იწვევენ მიწის ნაყოფიერების გაუარესებას;

ე) მიწის ნაკვეთის ისეთი ხერხებით გამოყენებისას, რომლებიც იწვევენ ნიადაგის ნაყოფიერების შემცირებას, მის ქიმიურ და რადიოაქტიურ გაჭუჭყიანებას, ეკოლოგიური ვითარების გაუარესებას;

ვ) მიწის ბეგარის და მიწის ნაყოფიერების შემცირებისათვის ჯარიმების სისტემატური გადაუხდელობისას;

ამ მუხლში ჩამოთვლილი შემთხვევების არსებობისას მიწის ნაკვეთზე უფლებას კარგავენ მოქალაქეები, რომლებმაც იმატრიკულაციის პირობით მიიღეს მიწა.

მიწაზე საკუთრების უფლება წყდება სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

V. მიწის რეფორმის ეტაპები

25. მიწის რეფორმა ტარდება ეტაპობრივად.

26. პირველ ეტაპზე ხდება მიწის რეფორმის სახელმწიფო ორგანოების შექმნა, საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში არსებული მიწის ფონდის ინვენტარიზაცია, თითოეული მიწათსარგებლობის სუბიექტის მიხედვით მიწის კადასტრის შედგენა, სარგებლობაში, მფლობელობაში ან საკუთრებაში მიწის მიღების მსურველთა განცხადებების მიღება და მათი სისტემატიზაცია, მიწაზე საკუთრების უფლების მოპოვების პირობით გასანაწილებელი მიწის ნაკვეთების გამოყოფა — საიმატრიკულაციო ზონების შექმნა.

პირველ ეტაპზე დგება სოფლების, თემების, დაბების, რაიონების მიხედვით მიწათმოწყობის პროექტები და დგინდება მათი საზღვრები. მიწათმოწყობის პროექტები უნდა შეესაბამებოდეს ამ კანონისა და სხვა საკანონმდებლო აქტების მოთხოვნებს.

მიწათმოწყობის პროექტი მტკიცდება მიწის რეფორმის რაიონული, საქალაქო კომიტეტების მიერ.

27. მეორე ეტაპზე მიწის საკადასტრო მონაცემების შესაბამისად უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქეებს საკარმიდამო მიწის ნაკვეთები, სააგარაკო და საბაღე ნაკვეთები კანონიერ სარგებლობაში არსებული ოდენობით.

ნასოფლარებში დაბრუნებულ მოქალაქეებს მიწის ნაკვეთები გადაეცემათ უსასყიდლოდ. საკუთრებაში გადასაცემი მიწის ნაკვეთების ოდენობას განსაზღვრავენ მიწის რეფორმის რაიონული და საქალაქო კომიტეტები ადგილობრივი შესაძლებლობების, რეგიონული თავისებურებების, სპეციალობაცის, მოცემული მიწების დამუშავების შესაძლებლობების გათვალისწინებით.

მეორე ეტაპზე ხდება მიწების გადაცემა საკუთრების უფლების მოპოვების პირობით — იმატრიკულაციის პირობით. ამ დროს ფორმდება ხელშეკრულება მიწის მიმღებსა და სასოფლო, სათემო, სადაბო მიწის რეფორმის კომისიებს შორის. ხელშეკრულების რეგისტრაციას ახორციელებს მიწის რეფორმის შესაბამისი კომიტეტი. ხელშეკრულების ფორმას ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მიწის რეფორმის კომიტეტი.

28. მესამე ეტაპზე ხდება იმატრიკულაციის პირობით გადაცემული მიწების გადასვლა მოქალაქეთა საკუთრებაში.

VI. მიწის რეფორმის ორგანოები

29. მიწის რეფორმის გატარება ეკისრება საქართველოს რესპუბლიკის მიწის რეფორმის კომიტეტს, რომელსაც ქმნის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

მიწის რეფორმის კომიტეტის თავმჯდომარეს ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ხუთი წლის ვადით.

მიწის რეფორმის კომიტეტის სისტემა შედგება რაიონული, საქალაქო მიწის რეფორმის კომიტეტებისა და სადაბო, სათემო, სასოფლო მიწის რეფორმის კომისიებისაგან.

30. სადაბო, სასოფლო, სათემო მიწის რეფორმის კომისიები შედგება შესაბამისი საკრებულოების, მოცემულ ტერიტორიაზე მდებარე კოლმეურნეობების, სახელმწიფო მეურნეობების (ყოფილი საბჭოთა მეურნეობები), სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან. სადაბო, სათემო, სასოფლო მიწის რეფორმის კომისიის თავმჯდომარეს ირჩევენ კომისიის წევრები და ამტკიცებს რაიონის მიწის რეფორმის კომიტეტის თავმჯდომარე.

31. რაიონული, საქალაქო მიწის რეფორმის კომიტეტი შედგება მიწათმოწყობის, მიწათსარგებლობის და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისაგან, სადაბო, სათემო, სასოფლო მიწის რეფორმის კომისიების თავმჯდომარეებისაგან.

რაიონული, საქალაქო მიწის რეფორმის კომიტეტის თავმჯდომარეს ირჩევენ მიწის რეფორმის კომიტეტის წევრები და ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მიწის რეფორმის კომიტეტის თავმჯდომარე.

32. საქართველოს რესპუბლიკის მიწის რეფორმის კომიტეტი მის სისტემაში შემავალი კომიტეტებისა და კომისიების მეშვეობით:

ა) ახორციელებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებული მიწის ფონდის ინვენტარიზაციას;

ბ) ადგენს მიწის კადასტრს, რომელშიც აისახება მიწათსარგებლობის სახელმწიფო რეგისტრაციის, მიწების რაოდენობრივი და ხარისხობრივი აღრიცხვის, ნიადაგის ბონიტირების და მიწების ეკონომიკური შეფასების მონაცემები;

გ) განსაზღვრავს საკუთრებად, მფლობელობაში ან სარგებლობაში გადასაცემი მიწების ზონებს, განსაკუთრებული დაცვის რეჟიმს დაქვემდებარებულ ტერიტორიებს, შიდარესპუბლიკური მიგრაციებისათვის დარეზერვებული ტერიტორიების ფარგლებს;

დ) აქვეყნებს სოფლების, თემების, დაბების, რაიონების, ქალაქების მიხედვით მიწის კადასტრის მონაცემებს;

ე) იღებს ფიზიკური და იურიდიული პირების განცხადებებს საკუთრებად, მფლობელობაში ან სარგებლობაში მიწების მიღების შესახებ. ადგენს მიწის მიღების მსურველთა სიებს;

ვ) განსაზღვრავს იმ ტერიტორიებს, რომლებიც არ გადადის კერძო საკუთრებად;

ზ) გასცემს მიწაზე საკუთრების, მიწათმფლობელობის და მიწათსარგებლობის უფლების დამადასტურებელ საბუთს;

თ) ორგანიზაციას უწევს შიდარესპუბლიკურ მიგრაციებს. ამ მიზნით მიწების ცალკეული ზონების გამოყოფას;

ი) იძლევა დასკვნებს მიწების გაცემისა და დაცვის, მელიორაციისა და მიგრაციების საკითხებზე;

კ) გასცემს ნებართვას მიწების კატეგორიების შეცვლის თაობაზე.

მიწის რეფორმის ორგანოების სამართლებრივ სტატუსს, მათ კომპეტენციას განსაზღვრავს დებულება მიწის რეფორმის სახელმწიფო კომიტეტის შესახებ.

VII. მიწის მიღების აღრიცხვაზე აყვანის წესი

33. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეები, რომლებსაც სურთ საკუთრებად ან მფლობელობაში მიწის ნაკვეთის მიღება, ამის შესახებ განცხადებით მიმართავენ მიწის რეფორმის სასოფლო, სათემო, სადაბო კომისიებს.

მოქალაქეთა განცხადებაში მითითებული უნდა იყოს განმცხადებლის სახელი, საცხოვრებელი ადგილი, საქმიანობა და მიზანი, თუ რისთვის ითხოვს იგი მიწას.

34. იმ მოქალაქეთა განცხადებები, რომელთაც სურთ მიწის ნაკვეთის მიღება სხვა რაიონში, აღირიცხება საქართველოს რესპუბლიკის მიწის რეფორმის კომიტეტში.

35. მიწის რეფორმის განხორციელების დროს წარმოშობილ დავებს განიხილავს რაიონის, ქალაქის სასამართლოები.

დღეს—ხვალისათვის

საბაზრო ეკონომიკა: ჩამოყალიბების გზები

საქართველოში დაიწყო მისი განვითარების თვისებრივად ახალი ფაზა. საბჭოთა იმპერიის შემადგენლობიდან გამოსვლა მოითხოვს ეკონომიკური გარდაქმნების განხორციელებას, რაც შეიძლება მხოლოდ ეკონომიკური განვითარების მყარი, ყოვლისმომცველ კონცეფციაზე დაყრდნობით, რაზეც უკვე მუშაობენ რესპუბლიკაში. მისი მიზანია მწვავე კრიზისულ მოვლენათა დაძლევა, ბაზარზე გადასვლის ხელშემწყობი ნიადაგის შექმნა, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ყველა დარგის განვითარების უზრუნველყოფა. მაგრამ კონცეფციის შემუშავების დროს დგება საკმაოდ ბევრი საკითხი.

როგორ მოვაგვაროთ სამეურნეო ურთიერთობანი ისეთ პირობებში, როცა ეს-ეს არის იქმნება ბაზარი? როგორი უნდა იყოს ფორმით და შინაარსით მოსახლეობის სოციალური დაცვა? რა გზებით უნდა გადავწყვიტოთ „ჩრდილოვანი" ეკონომიკის პრობლემები? ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სხდომათა მცირე დარბაზში სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ფარგლებში გაიმართა სამეურნეო ურთიერთობის მომწესრიგებელი სამუშაო ჯგუფის გაფართოებული სხდომა. მის მუშაობაში მონაწილეობენ საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ბესარიონ გუგუშვილი, პრემიერ-მინისტრის მოადგილე, საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრი გურამ აბსანძე.

მოხსენება გააკეთა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორმა, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორმა ვლადიმერ პაპავამ.

კონფერენციაზე გაიმართა ცხოველი, დაინტერესებული სჯა-ბაასი საქართველოში შექმნილი მძიმე ეკონომიკური სიტუაციის, აქედან გამოსავლის გზების შესახებ. თავიანთი აზრი გამოთქვეს თვალსაჩინო ეკონომისტმა მეცნიერებმა, სამინისტროების, ასოციაციების, ბირჟების, კოოპერატივების ხელმძღვანელებმა. გამოითქვა სხვადასხვა თვალსაზრისი, დაისვა პრობლემები, შემოდიოდა წინადადებანი მათი გადაწყვეტის გზების შესახებ.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ბაზრის პირობებში სამეურნეო ურთიერთობის მოწესრიგების საკითხს. აღინიშნა, რომ სხვადასხვა ქვეყანაში ასეთ საქმიანობას აქვს სხვადასხვა ფუნქცია კონკრეტულ გარემოებათა და საერთო სიტუაციის მიხედვით. მაგალითად, შეიძლება გაძლიერდეს საბაზრო ეკონომიკის სოციალური, ანდა, ვთქვათ, ეკოლოგიური მხარე. პირველ შემთხვევაში სამეურნეო ურთიერთობის რეგულირების აქცენტი გადატანილი იქნება სოციალურ სფეროზე, ამა თუ იმ ქვეყნის მოსახლეობის სოციალური დაცვის გარანტიების უზრუნველყოფაზე. მეორე შემთხვევაში — რაციონალურ ბუნებათსარგებლობაზე. მაგრამ ბაზრის პირობებში სამეურნეო ურთიერთობის მოწესრიგებას შეიძლება უფრო ფართო ხასიათიც ჰქონდეს, განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ ჩვენში ჯერ კიდევ არსებულ მონოპოლიურ სტრუქტურებს. მთლიანად ეკონომიკის განვითარების შეფერხებით ისინი სერიოზული დაბრკოლება ხდება ბაზრის ჩამოყალიბების გზაზეც, რაც გამორიცხავს მის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს — კონკურენციას.

საბაზრო ეკონომიკას სჭირდება თავისუფალი საბაზრო სივრცე. მაგრამ ამჟამად შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციაში უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბაზარს შეუძლია საქართველოს მოუტანოს როგორც სიკეთე, ისე სიავეც, აღნიშნეს ორატორებმა. ეს უკანასკნელი მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი რესპუბლიკა გახდება საკავშირო ბაზრის შემადგენელი ნაწილი. ეს რომ ავიცილოთ თავიდან, უნდა შევქმნათ ერთიანი ეკონომიკური სივრცე თვით რესპუბლიკაში, გვქონდეს საკუთარი ეროვნული ბანკი. რაც შეეხება საკავშირო ბაზარში მონაწილეობას, ეს შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ რეგიონალური ანუ შეზღუდული ეკონომიკური სივრცის ფარგლებში. ეს დაგვეხმარება საქართველოს ერთგვარი ეკონომიკური „გათქვეფის" თავიდან აცილებაში. ამავე დროს უნდა შევქმნათ თითოეულ სუვერენულ სახელმწიფოში მიღებული სამსახურები, რომლებიც საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა ფორმირებასა და მოწესრიგებაზე მუშაობენ.

სერიოზულ გარდაქმნებს საჭიროებს სოფელი, ხაზგასმით აღნიშნეს ორატორებმა. მომწიფდა მიწის რეფორმა, ეკონომიკურ ურთიერთობათა და სოფლად მართვის სფეროს რეფორმა. ამასთან საჭიროა არაორდინარული მიდგომა, რომელიც გაითვალისწინებს ქართველი გლეხობის ფსიქოლოგიასა და საუკუნოვან ტრადიციებს.

სხდომაზე კვლავ აღინიშნა, რომ ყველა ამ ღონისძიების განხორციელება გაძნელდება, თუ დაუყოვნებლივ არ დაიწყება მოქმედება დღევანდელი მძიმე კრიზისიდან ეკონომიკის გამოყვანისათვის. აუცილებელია განხორციელდეს თანამიმდევრული რეფორმები ერთდროულად ეკონომიკის ყველა სფეროში, თანაც საქართველოსათვის ამ საარსებო მნიშვნელობის მუშაობას სათავეში უნდა ჩაუდგეს მინისტრთა კაბინეტი. პირველი რიგის ღონისძიებათა შორის არის სახელმწიფო საკუთრების პრივატიზაცია, მცირე ბიზნესის განვითარება, ეროვნული ბანკის შექმნა და ა. შ. არ უნდა დავაკნინოთ არც იმის მნიშვნელობა, ფსიქოლოგიურად მზად არიან თუ არა ადამიანები მათთვის ახალი ბაზრის პირობებში საცხოვრებლად, დროებით სიძნელეთა დასაძლევად.

სწორედ ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, ხაზგასმით აღინიშნა სხდომაზე, რომ მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობა სარგებლობდეს მოსახლეობის ნდობით, და თავის მხრივ ყოველ ღონეს ხმარობდეს, რათა გარდამავალმა პერიოდმა ჩაიაროს რაც შეიძლება უმტკივნეულოდ და მოსახლეობის სოციალური გარანტიები შეუფერხებლად მოქმედებდეს.

ალა კოკაია,
საქინფორმის კორ.

ინტერვიუ

დაიწყება აღმავლობის პროცესი

ახლახან გაუქმდა ავტონომიურად არსებული ეკონომიკის და ფინანსთა სამინისტროები და მათ ბაზაზე შეიქმნა ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტრო. აღნიშნული ორგანიზაციული ცვლილებების შესაბამისად, სრულიად ლოგიკურად გაუქმდა ზემოხსენებულ უწყებებს დაქვემდებარებული სხვადასხვა დაწესებულება და ჩამოყალიბდა ახალი სტრუქტურული ერთეულები, მათ შორის შეიქმნა ეკონომიკისა და ფინანსების ინსტიტუტი გაუქმებული ეკონომიკისა და პროგნოზირების, ასევე კადრების კვალიფიკაციის ამაღლების და გადამზადების ეკონომიკური ინსტიტუტების ბაზაზე. საქინფორმის კორესპონდენტი ესაუბრა ახლად შექმნილი ინსტიტუტის დირექტორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იაკობ მესხია.

— ბატონო იაკობ, თუ შეიძლება, მოკლედ გააცანით მკითხველებს, რამ გამოიწვია ასეთი კატასტროფული მდგომარეობა ეკონომიკაში?

— მართალი გითხრათ, ყოფილ საბჭოთა კავშირში და, შესაბამისად, ჩვენს რესპუბლიკაში, ეკონომიკა ამ სამოცდაათი წლის მანძილზე არასდროს ყოფილა აყვავების პროცესში. მართვის ტოტალიტარულმა რეჟიმმა და წარმოების საშუალებათა იძულებითმა განსაზოგადოებამ ყოველგვარი სტიმული მოუსპო მშრომელ ხალხს. ყველა კარგად ხედავდა, რომ სახელმწიფო სექტორი ვერ უწევდა კონკურენციას კერძო სექტორს. ერთ მაგალითს მოვიყვან. რესპუბლიკის საკარმიდამო ნაკვეთზე, რომელიც მთელი სავარგულების მხოლოდ ექვს პროცენტს შეადგენს, სოფლის მეურნეობის მთელი პროდუქტის დაახლოებით ნახევარი მოდის. აქედან, ცხადია, რომ ყველა ჩვენი უბედურების სათავე საკუთრების დამახინჯებული ფორმა, ანუ, უფრო სწორად, ისეთი საკუთრებაა, რომელიც არავის არაფერს აავალდებულებს და ყოველგვარ სტიმულს უკარგავს. შედეგი ნათელია, — კრიზისი გეომეტრიული პროგრესიით მატულობს. მთლიანად მოიშალა ეკონომიკის ყველა სფერო, დღითი დღე მცირდება წარმოებული პროდუქციის მოცულობა, ჩაშლილია ელექტროენერგიის, სათბობის, ნედლეულის მიწოდების სახელშეკრულებო დავალებანი. სოფლის მეურნეობა კრიზისულ მდგომარეობაშია. ასეთივე სიტუაციაა მატერიალური წარმოების და სოციალური ინფრასტრუქტურის ყველა დარგში. მოიშალა ეკონომიკური კავშირურთიერთობა, ღრმა კრიზისს განიცდის საფინანსო-საკრედიტო სისტემა. ინფლაცია არნახული ტემპით მატულობს, ფულმა დაკარგა მყიდველობითი უნარი, ფასები კატასტროფულად იზრდება. იმპერიის მიერ შემოთავაზებულმა გარდაქმნის პოლიტიკამ კიდევ უფრო გაამწვავა ვითარება, რამაც ეკონომიკურ კატასტროფამდე მიგვიყვანა. ამის მთავარი მიზეზი კი ის არის, რომ არ შეიმუშავებიათ მართვის ახალი დემოკრატიული მეთოდები. ამრიგად, ეკონომიკური კრიზისის უმძლავრესი ფაქტორია ჩვენი სისტემის ხელოვნურობა. წარმოების სოციალისტური წესი არაბუნებრივი და გამოგონილია.

— თქვენ ეკონომიკური კრიზისის მთავარ მიზეზად დაასახელით საკუთრების დამკვიდრებული არაბუნებრივი ფორმა. მაგრამ უკვე კარგა ხანია ჩვენში ფეხი მოიკიდა ისეთმა ახალმა საბაზრო ფორმებმა, როგორიცაა კოოპერატივები, კერძო და ერთობლივი საწარმოები, ასოციაციები და ა. შ. მაგრამ ამ საბაზრო ურთიერთობათა შედეგები, სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ ჩანს. თქვენი აზრით, რატომ?

—პირდაპირ თუ ვიტყვით, ამის ძირითადი მიზეზია საბაზრო მეურნეობაზე გადასასვლელად ჩვენი ეკონომიკის ორგანიზაციული და მეთოდოლოგიური მოუმზადებლობა. დიდი იდეოლოგიური დავა-კამათის შემდეგ იძულებული გავხდით გვეღიარებინა საბაზრო ურთიერთობათა უპირატესობა. მაგრამ ამის პარალელურად მიმდინარეობდა თავისუფალი მეწარმეობის ელემენტების, ასე ვთქვათ, ძალისმიერი ნგრევა. არ გვქონდა არც კანონები, არც ნორმატიული დოკუმენტები, მაგრამ საზოგადოების ერთი ნაწილი, უფრო სწორად, აქტიური და საქმიანი ნაწილი, არ დაელოდა არავითარ სახელმწიფოებრივ ინსტრუქტაჟს და თვითშემოქმედებით კომერციულ და მეწარმულ საქმიანობაზე გადავიდა. ამასთან, აღნიშნული საქმიანობა, ძირითადად, დაეყრდნო იოლი გზებით მოგების მიღებას, რაც გასაკვირი როდია. ამიტომაც, კოოპერატივების უმრავლესობის საქმიანობა წარიმართა იქითკენ, რომ სახელმწიფო სექტორიდან შეესყიდათ შედარებით იაფი ნედლეული, მასალები, ნახევარფაბრიკატები, მერე რამდენადმე გადაემუშავებინათ ან პირდაპირ გაეყიდათ. დეფიციტის პირობებში კოოპერატივებს დიდი მოგების მიღების საშუალება გაუჩნდათ. სახელმწიფო სექტორში მოკალათებულმა დამნაშავე ელემენტებმა კი ვერ გაუძლეს ცდუნებას და მეტი წილი პროდუქციის ნაკადი მიმართეს კოოპერატივებისაკენ, გარკვეული ანგარებით და კანონის დარღვევით. ყველაფერმა ამან წარმოშვა კოოპერაციული მოძრაობის ცალმხრივობა, მას ძირითადად კომერციული გადამყიდველსპეკულაციური მიმართულება მისცა და თავიდანვე შეულახა ავტორიტეტი. საწარმოო ხასიათის კოოპერატივები და ფირმები იშვიათობა გახდა. ამ ბოლო დროს კი მომრავლდნენ ნაირ-ნაირი ფირმები, ასოციაციები და სხვა გაერთიანებანი, რომლებიც არავითარ პროდუქციას არ აწარმოებენ და ძირითადად უცხოური არაპირველადი მოხმარების საგნები (ლუდი, სიგარეტი, კვეი და ა. შ.) შემოაქვთ და ყიდიან, ან კიდევ ე. წ. „გადარიცხვის წესით" საეჭვო საფინანსო-საკრედიტო ოპერაციებს აწარმოებენ. მარტო პერსონალურ კომპიუტერებსა და ორგანიზაციულ ტექნიკაზე რესპუბლიკაში ათმილიონობით „მარცხენა ფული" ტრიალებს. რასაკვირველია, ყოველივე ამან დააცარიელა სახელმწიფო მაღაზიები. პროდუქცია „შავ ბაზარზე" გადავიდა. დემოკრატიას ამოფარებულ საქმოსნებს გზა გაეხსნათ. დღეს უბრალო, ყოველდღიური აუცილებლობის ნივთს მხოლოდ ხელლებზე ხუთმაგ ფასად თუ იყიდით. ყოველივე ეს ხალხის სამართლიან გულისწყრომას იწვევს. საჭიროა გარკვეული დრო და შესაბამისი კანონები, რათა საბაზრო მეურნეობამ ცივილიზებული სახე მიიღოს.

— აშკარაა, რომ მდგომარეობა თანდათან იძაბება, ზამთარი კარს მოგვადგა. თქვენი აზრით, რა გზებითა და ფორმებით უნდა გამოვიდეთ შექმნილი ეკონომიკური კრიზისიდან?

— უპირველეს ყოვლისა, საჭიროა მივაღწიოთ პოლიტიკურ სტაბილიზაციას რესპუბლიკაში. ვიდრე პოლიტიკურ დამოუკიდებლობას მივიღებდეთ, უნდა მოხდეს მთელი პოლიტიკური ძალების და საზოგადოებრივი ჯგუფების აზრთა შეწონასწორება და, როგორც იტყვიან, კონსესუსის მიღწევა. ეს ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანის და ვითარების სტაბილიზაციის ერთ-ერთი უმთავრესი პირობაა. სხვაგვარად დღევანდელი ქაოსი და განუკითხაობა გაგრძელდება და შედეგად კატასტროფაც გარდაუვალია. უნდა დაჩქარდეს საბაზრო მეურნეობაზე გადასვლის კანონების შემუშავება და მიღება. აქ ჯერჯერობით ანალოგიის მეთოდით უნდა ვიაროთ, დროებით უნდა გამოცხადდეს საგანგებო ეკონომიკური ვითარება. და ამ პერიოდში გარკვეულწილად უნდა გამოვიყენოთ მართვის განკარგულებითი მეთოდები ახალი დემოკრატიული შინაარსით. ეკონომიკურ ურთიერთობათა სრულ დემოკრატიზაციაზე გადასვლას გარკვეული სარესურსო და ინტელექტუალური მარაგი სჭირდება. ეკონომიკური მუშაობის ძირითად მიმართულებას ამ ეტაპზე უნდა შეადგენდეს სურსათით, განსაკუთრებით, პურით და სათბობ-ენერგეტიკული რესურსებით მეურნეობის და მოსახლეობის უზრუნველყოფა. ამ მხრივ საჭიროა არსებული ჰორიზონტალური ეკონომიკური კავშირების გაძლიერება და ახალი ურთიერთსარგებლიანობის პრინციპზე დაფუძნებული პარტნიორების გამოძებნა. ასეთია, ჩვენი აზრით, უახლესი ამოცანები. პერსპექტივისათვის კი საჭიროა მთელი რიგი კარდინალური ღონისძიებები, რომლებსაც საფუძვლად უნდა დაედოს რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარების კონცეფცია, პროგნოზი და კომპლექსური პროგრამა, რომლის შემუშავება დღევანდელი ხელისუფლების და ფართო საზოგადოებრიობის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა.

— რესპუბლიკის ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობაზე გადაყვანა შეუძლებელია მეცნიერულად დასაბუთებული კონკრეტული რეკომენდაციების და წინადადებების გარეშე. არის თუ არა მზად დღევანდელი ქართული ეკონომიკური მეცნიერება ამისათვის და კერძოდ, ორიოდე სიტყვით, როგორია ამ საქმეში თქვენი ინსტიტუტის წვლილი?

— ქართული ეკონომიკური მეცნიერება, იყო რა მარქსიზმ-ლენინიზმისა და სოციალისტური დაგეგმვის თეორიის ტყვეობაში, ჩამორჩა მსოფლიოს მოწინავე ეკონომიკური მეცნიერების მიღწევებს და ვიწრო და ლოკალური პრობლემებით შემოიფარგლებოდა. მთავარი ყურადღება ეთმობოდა ეკონომიკური ანალიზის, დაგეგმვის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფას. განსაკუთრებით სუსტად მიმდინარეობს გამოკვლევები საფინანსო-საკრედიტო მექანიზმის სრულყოფის, აღრიცხვის, სტატისტიკის, დაზღვევის, კონტროლის დარგში. სუსტია აგრეთვე გამოკვლევები ეკონომიკური პროგნოზირების, ეკონომიკურ სამუშაოთა კომპიუტერიზაციის და სხვა აქტუალურ საკითხებზე. ამასთანავე სწორი არ არის ქართულ პრესაში ზოგიერთი არაპროფესიონალის მიერ გამოთქმული მოსაზრებანი ქართველი ეკონომისტების კომპეტენტურობაზე. საქართველოს ძალიან ბევრი ახალგაზრდა ნიჭიერი ეკონომისტი ჰყავს და, მე დარწმუნებული ვარ, რომ ისინი თავიანთ სიტყვას სულ მოკლე ხანში იტყვიან.

რაც შეეხება ეკონომიკის და ფინანსების ინსტიტუტს, მისი ფორმირება სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. კვლევა წარიმართება ძირითადად შემდეგ პრობლემებზე: ეკონომიკური ანალიზი, მიკროეკონომიკური პროგნოზირება, დარგების და დარგთაშორისი კომპლექსების ეკონომიკა და პროგნოზირება, ფინანსები, კრედიტი, დაზღვევა და ფულის მიმოქცევა, აღრიცხვა, სტატისტიკა და კონტროლი, საბაზრო ეკონომიკა და ეკონომიკური რეფორმა, მარკეტინგი და პროდუქციის მიწოდება-მოთხოვნის პროგნოზირება, ეკონომეტრიკა და კომპიუტერიზაცია, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და საინვესტიციო პოლიტიკა, რეგიონის ეკონომიკა, ფინანსები და პროგნოზირება და ა. შ. ინსტიტუტში ჩამოყალიბდა ოცდაშვიდი სამეცნიერო განყოფილება. მათ შორის ათი რეგიონალური განყოფილება, ამასთანავე ინსტიტუტი ეწევა სასწავლო საქმიანობას. ფუნქციონირებს ოთხი მსხვილი სასწავლო კათედრა, კაბინეტ-ლაბორატორიები, ინსტიტუტი ეწევა ეკონომიკური სამსახურების მუშაკთა მომზადებას, გადამზადებას და კვალიფიკაციის ამაღლებას. ინსტიტუტის კოლექტივმა აქტიური მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კონცეფციის შემუშავებაში, ზემდგომ ორგანოებს წარუდგინა ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანის და ვითარების სტაბილიზაციის ღონისძიებათა სისტემა, აქტიურად მონაწილეობს საპროგნოზო გაანგარიშებებში, მთელი რიგი ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტაში, მიმდინარეობს სპეციალისტთა გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება, მომზადდა სხვადასხვა სასწავლო, სამეცნიერო და მეთოდიკური ხასიათის ლიტერატურა.

—თქვენ მრავალი შრომის ავტორი ბრძანდებით პროგნოზირების დარგში. როგორია, თქვენი აზრით, დღევანდელი პროგნოზები?

— პროგნოზირება რთული და სარისკო საქმეა. მომავალში იმპერიის საბოლოო რღვევის პროცესში მოსალოდნელია მისი მოდიფიკაცია. ეკონომიკაში ჯერ კიდევ არ დამდგარა კრიზისის პიკი, უახლოეს პერიოდში მდგომარეობა კიდევ უფრო გამწვავდება. საქართველო უმოკლეს დროში გახდება თავისუფალი, თუმცა ამისათვის კვლავაც რთული გზა გვექნება გასავლელი. უნდა მოვემზადოთ უფრო მძიმე ეკონომიკური სირთულეების დაძლევისათვის, შემდეგ კი დაიწყება აღმავლობის პროცესი. ღმერთი იყოს ჩვენი შემწე.

გულიკო მარკოზაშვილი,
საქინფორმის კორესპონდენტი.

ეკოლოგია

დავიცვათ მწვანე ნარგავები

ნაყოფიერ საქმიანობას ეწევიან აკადემიკოს ლ. ყანჩაველის სახელობის საქართველოს მცენარეთა დაცვის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები. მათი ძირითადი მიმართულებაა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ ბრძოლა, რომელთაც მიეკუთვნებიან რგოლური ჩრჩილი, რომელიც გავრცელებულია ქართლის რაიონებში, კერძოდ ვაშლის ფოთოლზე და სათბურის ფრთათეთრა, ეს უკანასკნელი კი აზიანებს ბოსტნეულ კულტურებს.

ინსტიტუტის მთავარი ამოცანაა ინტეგრირებული სისტემის, ბიოლოგიური მეთოდის უპირატესობით და პესტიციდური დატვირთვის მაქსიმალური შემცირების გზით განახორციელოს ბრძოლა ამ მავნებელთა წინააღმდეგ. ისახება ახალი მეთოდები, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ცდების გამოყენებით, რათა თავიდან იქნეს აცილებული მწვანე ნარგავთა ესა თუ ის დაავადება,

●



სურათებზე: 1. ასპირანტი მანანა ბურთიკაშვილი ატარებს აღრიცხვას სათბურის ფრთათეთრას დაზიანების ხარისხზე; 2. ლაბორატორიის გამგე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ოთარ ხეინიშვილი და მეცნიერი თანამშრომელი მანანა გიგაური სწავლობენ პრეპარატ დეცისის დაშლის დინამიკას ვაშლის ნაყოფში; 3. კუნელის რგოლურა ჩრჩილით დაზიანებული მცენარის ფოთოლი; 4. პესტიციდების ანალიზისა და ეკოლოგიური შეფასების ლაბორატორიაში ინსტიტუტის სწავლული მდივანი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ნონა ლეკვეიშვილი, მეცნიერი თანამშრომელი მანანა გიგაური და წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ნანა ორჯონიკიძე აანალიზებენ პრეპარატ აკთეთელიკის ნაშ შემცველობას პამიდორის ნაყო ში.

თედო ნიკოლაიშვილ
ფოტორეპორტ

საზრუნავი

არ შევაჩეროთ მეტრო!

როგორ შეიძლება მეტრო გაჩერდეს?

მეტრო დედაქალაქის ორგანულ ნაწილად იქცა. თუმცა იგი მხოლოდ 25 წლისაა.

ყოველდღიურად კი ამ ტრანსპორტით 600 ათასამდე კაცი სარგებლობს.

თბილისის მეტრო საკმაოდ რთული სატრანსპორტო-საინჟინრო ნაგებობაა ორი დამოუკიდებელი მაღალი ძაბვის ხაზით (ვარკეთილი-ახმეტელის თეატრი და ვაგზლის მოედანი-დელისი). მეტროპოლიტენში ტექნიკური პროცესები თანამედროვე დონეზეა ავტომატიზებული, რამაც მიუხედავად მგზავრთა გადაყვანის მოცულობის ზრდისა, ხელმძღვანელობას საშუალება მისცა საექსპლოატაციო პერსონალი ერთ კილომეტრზე მნიშვნელოვნად შეემცირებინა.

მეტროპოლიტენის ძირითადი ფონდები 300 მილიონ მანეთს აღემატება და მისი ძირითადი პარკი ხუთი მოდიფიკაციის 202 ვაგონს მოიცავს. აქ სხვადასხვა უბნებზე 80-მდე პროფესიის 3 ათასამდე კაცია დასაქმებული. მათი საშუალო თვიური ხელფასი 450 მანეთამდეა. ერთი საინტერესო მონაცემიც. თბილისის მეტროპოლიტენის ხვედრითი წილი ქალაქის მგზავრთა საერთო გადაყვანაში 40 პროცენტს აღემატება და ამ მაჩვენებლით მხოლოდ მოსკოვს ჩამორჩება. საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში ეს მაჩვენებელი 20-25 პროცენტს თუ აღწევს, ასე რომ, მოსკოვის შემდეგ ყველაზე დიდი სიმძიმე ჩვენს მეტროს აწევს.

არა მარტო საბჭოთა კავშირის, არამედ მსოფლიოს ყველა მეტროპოლიტენი სახელმწიფო დოტაციაზეა. თანაც, კატასტროფულად იზრდება ბილეთის ღირებულება — პარიზში იგი 5 ფრანკია. (ერთი ამერიკული დოლარი)

თბილისის მეტროპოლიტენის დაფინანსება, 1990 წლის ჩათვლით, საკავშირო ბიუჯეტიდან ხდებოდა. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით ცენტრმა შეწყვიტა თანხების გამოყოფა და ახლა მთელი საექსპლოატაციო ხარჯები რესპუბლიკის ბიუჯეტიდან იფარება. საერთო დაძაბულმა ეკონომიკურმა ვითარებამ გამოიწვია ის, რომ თუ ადრე ერთი მგზავრის გადაყვანა მეტროპოლიტენის სამმართველოს 9 კაპიკამდე უჯდებოდა, თუ მოსკოვი 10 მილიონ მანეთ დოტაციას გამოყოფდა და ეს საკმარისი იყო, წლეულს თბილისში ერთი მგზავრის გადაყვანის ხარჯი 21,7 კაპიკამდე გაიზარდა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენი რესპუბლიკის ბიუჯეტიდან, მარტო წლეულს 28 მილიონამდე მანეთი გამოიყო.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს ხელმძღვანელობა ყოველი ღონით ცდილობს დროულად გადაწყვიტოს თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველოს წინაშე წამოჭრილი ყველა საკითხი.

უსიამოვნო ფაქტია, რომ 1992 წლისათვის მგზავრთა გადაყვანის თვითღირებულება კიდევ უფრო მოიმატებს და თუ მგზავრობის ფასი არ შეიცვალა და ისევ ხუთი კაპიკი დარჩა, დოტაცია მომავალ წელს 43 535 ათასი მანეთი იქნება.

ალბათ, მკითხველს დააინტერესებს, თუ რამ გამოიწვია თვითღირებულების ასეთი ზრდა. საქმე ისაა, რომ ყველა პროდუქცია, რომლის მომხმარებელიც მეტროპოლიტენია, უკიდურესად გაძვირდა. მაგალითად, თუ ადრე ელექტროენერგიის ფასი 2 კაპიკი იყო, ახლა 5-6 კაპიკია. თუ შარშან ერთი ვაგონი 1000 მანეთი ღირდა, ახლა 3000 მანეთი ღირს. გაიზარდა გადასახადები, მაგრამ შემოსავალი იგივე დარჩა, რაც ოცი წლის წინათ იყო.

ამჟამად მეტროპოლიტენის ხელმძღვანელობა სერიოზული პრობლემის წინაშე დგას. იმ შემთხვევაში, თუ მგზავრობის ფასი გაიზრდება, ავტომატური საკონტროლო პუნქტი დროულად მთლიანად უნდა გადაკეთდეს, რაც დიდ ტექნიკურ სიძნელეებთან არის დაკავშირებული (საერთოდ მგზავრობის ფასი 5 კაპიკი მარტო თბილისშია, მოსკოვში და სხვა ქალაქებში იგი 15 კაპიკამდეა გაზრდილი). სამმართველოს ხელმძღვანელობამ მდგომარეობა ოდნავ მაინც რომ შეიმსუბუქოს, აპირებს მეტროპოლიტენის ქონების, კერძოდ, საბრუნავი საშუალებების ინვენტარიზაციას, ეძებენ რეზერვებს და ცდილობენ მის მაქსიმალურად ამოქმედებას. ამ ბოლო დროს იჯარით გასცეს გარკვეული ფართობი, რამაც წელიწადში 200 ათასი მანეთი მოიტანა.

მიუხედავად ასეთი სიძნელეებისა, თბილისის მეტროპოლიტენი გეგმას ყველა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლით სტაბილურად ასრულებს. მეტროპოლიტენისათვის უმთავრესია მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებით უზრუნველყოფა. პრაქტიკულად სამმართველო 60-70 ქარხანასთანაა დაკავშირებული. ეს ძირითადად საკავშირო გზათა სამინისტროს საწარმოებია. მოსკოვის, სანკტ-პეტერბურგის, ხარკოვის მეტროპოლიტენის ქარხნები ჩვენი ძირითადი მომწოდებლები არიან, მაგრამ ამ ბოლო დროს აღნიშნულ საწარმოებთან საერთო ენის გამონახვა საკმაოდ გაძნელდა, არადა ძირითადი სპეციფიკური კვანძები, მოწყობილობები, ძრავები თუ მოტორკომპრესორები იქიდან უნდა შემოვიტანოთ, ვინაიდან ეს აგრეგატები არც ჩვენთან და არც სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში არ მზადდება. უაღრესად დიდი პრობლემების წინაშე დადგა მთელი კოლექტივი.

ასეთ სიტუაციაში თბილისის საავიაციო ქარხანა დაეხმარა მეტროპოლიტენს და 55 სხვადასხვა დასახელების დეტალისა თუ კვანძის გაკეთება დაიწყო. ასეთი დახმარება რომ არა, მეტრო ნამდვილად გაჩერდებოდა.

თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხანა ის ძირითადი საწარმოა, რომელიც მოვალეა შეაკეთოს მეტროს ვაგონები, შეასრულოს ძრავების, გოგორწყვილების კაპიტალური რემონტი. მიუხედავად იმისა, რომ ქარხანას გარკვეული სირთულეები აქვს მუშაობაში, მისმა ხელმძღვანელობამ კარგად უნდა იცოდეს, რომ საქართველოში სხვა ბაზა, სხვა ქარხანა, რომელიც ამ საქმეს იკისრებდა და გასაკეთებელს გააკეთებდა, არ არსებობს. პირიქით, სწორედ დღეს, ისე როგორც არასდროს, ამ საწარმოს კოლექტივი მხარში უნდა ამოუდგეს მეტროპოლიტენს. სხვანაირად წარმოუდგენელია, ვინაიდან საქმე გვაქვს თბილისის ცოცხალ ორგანიზმთან, ადამიანებთან, მათი მიმოსვლის უზრუნველყოფასთან. ვფიქრობთ, ქარხნის ხელმძღვანელობა პირნათლად შეასრულებს თავის მოვალეობას.

რედაქცია კონტროლზე აიყვანს ამ საქმეს და ჯეროვნად შეაფასებს ამ მიმართულებით მათ მიერ გაწეულ მუშაობას. განსაკუთრებულად უნდა ვიზრუნოთ
ხარისხზე: არ დაგვავიწყდეს,
საქმე მიწისქვეშ მყოფი ადა
ნების სიცოცხლესთან გვა
ყველა საშუალებით წარმოება
დონეზე უნდა მოვამზადოთ,
მეტროპოლიტენს შეფერხება
ჰქონდეს, პატრიოტიზმის გამ
ნის ერთ-ერთი დამადასტურე
ლი ფაქტი სწორედ ეს იქნება
არა სხვა რამ...

ჩვენ გავეცანით მეტროპო
ტენის ქვედანაყოფების მუშა
იქ მართლაც რომ უამრავი
ბლემაა, რომელთა გადაწ
მონაწილეობა უნდა მიიღოს
ლაქის მერიამ და ცალკეული
იონების პრეფექტურებმა.

ზოგიერთი რამ ჩვენც გვეხ
მგზავრებს, მოქალაქეებს. ამ
ყნად ყველაფერი ძველდება
ბუნებრივია, მეტროც. დღე
მეში მეტროპოლიტენი მხოლ
ოთხ საათს ისვენებს. ამ დრ
განმავლობაში უნდა მოხდეს
რითადი კვანძების გასინჯვა
საერთოდ ამ უზარმაზარი ორ
ნიზმის მოწესრიგება იმისათ
რომ დილით ისევ გაგრძელ
მუშაობა. ამიტომაც თითოეუ
ჩვენგანი უნდა ზრუნავდეს
სისუფთავეზე. ვაგონების სალ
ბში სავარძლების დაჭრა ან
ლება რა საკადრისია?

მეტროპოლიტენის სამმარ
ლოს ხელმძღვანელობა ზრუნ
კოლექტივის სოციალური ს
როს გაუმჯობესებისათვის. მა
ვის ყოველწლიურად 48-ბინი
საცხოვრებელი სახლი შენდ
ამჟამად 1980-81 წელს აღრიც
ზე მყოფთ აკმაყოფილებენ ბინ
კიკეთში აქვთ დასასვენებელი
ხლი 150 ოჯახისათვის, ერთი
რთო საცხოვრებელი 300 კაც
თვის, სოხუმში აშენებენ პანს
ნატს მუშა-მოსამსახურეებისათ
ვინც ღამის ცვლაში შრომო
მათთვის უფასო კვებაა.

ჩვენი მეტროპოლიტენის მ
შტაბები კიდევ უფრო გაიზრდ
1992 წელს დამთავრდება
უმნიშვნელოვანესი სადგურის მ
ნებლობა საბურთალოს მიმართ
ლებით. ბოლოს და ბოლოს,
სადგურების ლოდინში ხალხი დ
ღალა და იმედია, მეტრომშენ
ლები გაისად მაინც შეასრულ
ბენ სიტყვას.

ლალი ქინქლაძ

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოს უფროსის

ბრძანება № 9

17 სექტემბერი 1991 წ. ქ. თბილისი

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის ჩამოყალიბების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის 1991 წლის 9 სექტემბრის ბრძანებულების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. დაიწყოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ეროვნული გვარდიის ფორმირებების გეგმიური ჩამოყალიბება.
2. ყოფილი შინაგანი ჯარების — ეროვნული გვარდიის ნაწილების მეთაურები გამოცხადდნენ ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოს უფროსთან ა/წლის 25 სექტემბერს.
3. ყოფილი შინაგანი ჯარების ეროვნული გვარდიის ნაწილები, ქვეგანაყოფები 23 სექტემბრამდე დაუბრუნდნენ მათი მუდმივი დ სლოკაციის ადგილებს, უზრუნ ელყონ მაღალი დისციპლინა, ი რაღის, ტექნიკისა და მატერიალ ური ღირებულებების დაცვა.
4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოს უფროსი, გვარდიის მაიორი

ვ. კობალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის

კ ა ნ ო ნ ი

„საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის გაწვევის წესის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 27 თებერვლის კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

I. შეტანილ იქნეს „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის გაწვევის წესის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 27 თებერვლის კანონში შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. კანონის პირველ ნაწილს (ზოგადი დებულებები) დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 ნაწილი:

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების ან საარჩევნო ბლოკის ლიკვიდაციის (აკრძალვის, თვითლიკვიდაციის) შემთხვევაში მისი პარტიული სია უქმდება, ხოლო უზენაეს საბჭოში ამ სიით (პროპორციული და მაჟორიტარული წესით) არჩეული დეპუტატების უფლებამოსილება უზენაესი საბჭოს მიერ შეიძლება შეჩერდეს ერთ თვემდე ვადით მათი უფლებამოსილების საკითხის გადაწყვეტამდე“.

2. კანონის მე-6 მუხლში სიტყვა „თვითლიკვიდაციის“ შეიცვალოს სიტყვებით „ლიკვიდაციის (აკრძალვის, თვითლიკვიდაციის)“.

II. ეს კანონი ძალაშია მიღებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 15 სექტემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დადგენილება

ჰელსინკის „ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის დასკვნით აქტთან“ და ვენის „ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის შემაჯამებელ დოკუმენტებთან“ საქართველოს რესპუბლიკის შეერთების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

შეუერთდეს საქართველოს რესპუბლიკა ჰელსინკის „ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის დასკვნით აქტსა“ და ვენის „ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის შემაჯამებელ დოკუმენტებს“.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
აკაკი ასათიანი.

თბილისი. 1991 წლის 15 სექტემბერი.

საქართველოს მინისტრთა კაბინეტის განცხადება

მაშინ, როდესაც ასე ახლოა ჩვენი სანუკვარი ოცნების ასრულება, როცა თითქმის ზღურბლთანაა მომდგარი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვება, ჩვენი რესპუბლიკის აღიარება ცივილიზებული სამყაროს მიერ, რესპუბლიკის მშვიდობიან ყოფა-ცხოვრებას მთლიანად შლის ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილის წინასწარგანზრახული ავი ქმედება, რასაც სხვას ვერაფერს დავარქმევთ, თუ არა სახელმწიფო გადატრიალების მცდელობას.

შემოგვიტიეს გარეშე და, რაც განსაკუთრებით სამწუხაროა, შინაურმა მოწინააღმდეგეებმა: ზოგიერთმა განაწყენებულმა დეპუტატმა, დემოკრატიულ არჩევნებში ხელმოცარულმა დეპუტატობისა თუ პრეზიდენტობის მაძიებლებმა, ყოფილმა პარტიულმა ფუნქციონერებმა, „ელიტარულმა“ ინტელიგენციამ, თანამდებობადაკარგულმა სამეურნეო მუშაკებმა, ეგრეთწოდებულმა ოპოზიციურმა პარტიებმა, რომელთაც ზურგს აშკარად უმაგრებს საბჭოთა იმპერიის ცენტრი.

ერთიანი შეტევის მიზანი ნათელია — რესპუბლიკის სრული დესტაბილიზაცია, ეკონომიკური კრიზისის გაღრმავება, სამეურნეო საქმიანობის მოშლა, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი სტრუქტურების დამხობა და საქართველოს მთელი მოსახლეობის დიდი უმრავლესობის მიერ დემოკრატიული წესით არჩეული პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიის დისკრედიტაცია.

საქართველოს მინისტრთა კაბინეტი, რომელიც მტკიცედ და ერთსულოვნად დგას ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლებისა და პრეზიდენტის გვერდით, მოუწოდებს საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობას კვლავინდებურად გამოიჩინოს სიბრძნე და წინდახედულება, დაიცვას მრავალპარტიული არჩევნებისა და საქართველოს რეფერენდუმის მონაპოვარი და დადგეს ჭეშმარიტი დემოკრატიის მხარეზე, რაც უპირველესად კანონების უზენაესობის აღიარებას გულისხმობს!

საქართველოს მინისტრთა კაბინეტს მიაჩნია, რომ მხოლოდ ხელისუფლებისა და ხალხის მტკიცე ერთიანობა გახდება საწინდარი ჩვენი სამშობლოს საბოლოო გამარჯვებისა.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში

ეკონომიკური საკითხებისადმი მიძღვნილმა თათბირმა, რომელიც მიმდინარე წლის 9 სექტემბერს გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში, დაავალა სამინისტროების, დეპარტამენტების, უწყებების ხელმძღვანელებს სისტემატურად, კვირაში ერთხელ მიაწოდონ გამოსაქვეყნებლად მასობრივი ინფორმაციის ორგანოებს სრული ინფორმაცია მათ სისტემაში თავისუფალი მაცივრებისა და საწყობების, ნავთობპროდუქტების დაცვა-შენახვისათვის განკუთვნილი ჭურჭლის არსებობის შესახებ. ეს საჭირო იყო იმისთვის, რომ კონცერნებს, ასოციაციებს, კოოპერატივებს და საზოგადოებებს ჰქონდეთ შესაძლებლობა დაწესებული ნიხრების ფარგლებში განალაგონ იქ შემოტანილი პროდუქცია და საქონელი. მაგრამ, როგორც მინისტრთა კაბინეტმა აღნიშნა, ეს გადაწყვეტილება არ შესრულებულა.

თავისი 17 სექტემბრის განკარგულებით რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა მისი შესრულებისათვის პასუხისმგებლობა დააკისრა სამინისტროების, დეპარტამენტებისა და უწყებების პირველ ხელმძღვანელებს, შესრულებისადმი კონტროლი კი მინისტრთა კაბინეტის კანცელარიის შესაბამის დარგთა მთავარ სახელმწიფო მრჩევლებს.

კანცელარიას დაევალა აგრეთვე შექმნას სპეციალური ჯგუფი, რომელიც მიიღებს რესპუბლიკაში სასურსათო და სხვა საქონლის შემოტანით დაინტერესებულ პირებსა და ორგანიზაციებს, გააანალიზებს ოპერატიულ ინფორმაციას და წარმოადგენს კონკრეტულ წინადადებებს.

საქინფორმი

საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს პრესცენტრის

განცხადება

18 სექტემბერს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოების დეპუტაციის განცხადება.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო არავითარ ყურადღებას არ იჩენს მოშიმშილეთა მიმართ და აქციის მონაწილენი მოკლებული არიან ელემენტარულ სამედიცინო დახმარებას.

ამასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ მერაბ კოსტავას საზოგადოების დეპუტაციამ შიმშილობა დაიწყო — 15 სექტემბერს, დაახლოებით 20 საათზე. 17 სექტემბერს დილით ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროში მივიდნენ სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოების დეპუტაციის წარმომადგენლები, რომლებმაც ჯანმრთელობის დაცვის ხელმძღვანელებს შეატყობინეს აქციის დაწყების და ჩატარების ადგილი, რის შემდეგაც აქციის მონაწილეებთან ჯანმრთელობის მდგომარეობის გასარკვევად დაუყოვნებლივ მივიდნენ თბილისის ჯანმრთელობის დაცვის სამმართველოს უფროსი ბატონი ავთანდილ ჯორბენაძე, კატასტროფის სამმართველოს უფროსი ბ-ნი ლადო გიორგაძე და თბილისის სასწრაფო დახმარების მთავარი ექიმი ბატონი დავით გვილესიანი. ამავე დღეს 18 საათზე მოშიმშილეებთან მივიდა მინისტრის პირველი მოადგილე ბატონი მერაბ კვიტაშვილი. აქვე მორიგეობს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა.

18 სექტემბერს აქციის მონაწილეებს სხვა სპეციალისტებთან ერთად კონსულტაცია ჩაუტარა საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის მოადგილემ ბ-ნმა ირაკლი მეგრელაძემ, სამინისტროს მთავარმა ენდოკრინოლოგმა, ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ენდოკრინოლოგიის კათედრის გამგემ, პროფესორმა დავით მეტრეველმა. მოშიმშილეებს ჩაუტარდათ ლაბორატორიული გამოკვლევები. დღეისათვის ჰოსპიტალიზებულია აქციის ორი მონაწილე: ერთი ზემო სასუნთქი გზების კატარალური მოვლენებით და მეორე — არტერიული ჰიპერტონიით, ხოლო დანარჩენი მოშიმშილეების საერთო მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

და ბოლოს საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს კოლექტივი მთელი პასუხისმგებლობით აცხადებს, რომ სამედიცინო დახმარება უწევდა და გაეწევა ნებისმიერ მოქალაქეს მიუხედავად მისი პოლიტიკური მრწამსის, ეროვნების და რელიგიური რწმენისა.

მაგრამ ამ შემთხვევაში ალბათ აუცილებელია, რომ ნებისმიერი პარტიის წარმომადგენელმა, რომელიც მიმართავს პროტესტის უკიდურეს ფორმას — შიმშილობას, დროულად აცნობოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს აქციის დაწყების დრო და ადგილი.

საზღვარგარეთ

ვითარება იუგოსლავიაში

ორშაბათს გვიან საღამოს ადრიატიკის ზღვაზე მდებარე იუგოსლავიის კურორტ დუბროვნიკში ჩამოვიდა იუგოსლავიის საკითხებისადმი მიძღვნილი საზავო კონფერენციის თავმჯდომარე ლორდი კარინგტონი. ჩამოსვლისთანავე მას ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა საკავშირო მდივანთან ბუდიმირ ლონჩართან იუგოსლავიის მდგომარეობისა და ხორვატიაში მზარდი შეიარაღებული წინააღმდეგობის მშვიდობიანი მოწესრიგების გზების შესახებ.

როგორც ტანიუგის სააგენტო იუწყება, ინგლისელი დიპლომატი, რომელიც 70-იან წლებში საყოველთაოდ ცნობილი გახდა როდეზიაში კონფლიქტის წარმატებული მოწესრიგების წყალობით, შეხვდება სერბეთის პრეზიდენტს სლობოდან მილოშევიჩსა და ხორვატიის პრეზიდენტს ფრანიო ტუჯმანს. ეს შეხვედრები გაიმართება ხორვატიის საზღვრის მახლობლად ჩერნოგორიის საკურორტო დაბა იგალოში. შემდეგ გაიმართება ლორდ კარინგტონის შეხვედრა იუგოსლავიის სამხედრო უწყების მეთაურთან არმიის გენერალ ველკო კადიევიჩთან და სხვა მხედართმთავრებთან.

როგორც ადგილობრივ წრეებში აღნიშნავენ, ლორდი კარინგტონი ესწრაფვის თავისი იუგოსლავი თანამოსაუბრეებისაგან მიაღწიოს არა მარტო დაპირებებს, არამედ ნამდვილი ცეცხლის შეწყვეტის მტკიცე გარანტიებს. აქ აგრეთვე აღნიშნავენ ინგლისელი ლორდის მისიის განსაკუთრებით დელიკატურ ხასიათს იუგოსლავიის კრიზისის შეფასებებში აშკარა წინააღმდეგობების გამო, რომლებიც ევროპის გაერთიანების ქვეყნებს შორის წარმოიშვა.

ახლახან ხორვატიის ყველა „ცხელ წერტილში“ ნამყოფი ევროპის გაერთიანების საბჭოს თავმჯდომარის ჰანს ვან დენ ბრუკის ოფიციალურ დესპანს, ჰოლანდიელ დიპლომატს ჰენრი ვეინანდს შეეძლო თვალნათლივ დარწმუნებულიყო, რომ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მრავალრიცხოვან დარღვევებში ბრალი მიუძღვის ხორვატიის მხარეს. ეს განაცხადა ვან დენ ბრუკმაც. მაგრამ ამ პოზიციას არ დაეთანხმნენ გერმანიის, იტალიისა და ევროპის გაერთიანების ზოგიერთი სხვა ქვეყნების ხელმძღვანელები, რომლებიც მთელ დანაშაულს აკისრებენ იუგოსლავიის არმიასა და სერბეთის ხელმძღვანელობას. ასეთმა განსხვავებულმა მიდგომებმა შეიძლება მხოლოდ გაართულოს ბალკანეთში მშვიდობის გზა.

ამასობაში ხორვატიაში კვლავ სკდება ჭურვები და გაისმის ნაღმსატყორცნების აფეთქების ხმა.

ზაგრების რადიოს ცნობებით თუ ვიმსჯელებთ, მრავალ ადგილას ხორვატიის რაზმებმა შეძლეს ხელთ ეგდოთ რამდენიმე სამხედრო ობიექტი, დაეუფლებოდნენ მათს არსენალებს.

იუგოსლავიის ქალაქებს, რომლებსაც არც კი მოსდებიათ ომის ცეცხლი, სულ უფრო ეუფლებათ მღელვარებისა და შიშის ატმოსფერო. ზაგრებში მოქმედებს ბრძანება შუქშენიღბვის შესახებ. გუშინ ქალაქში რამდენჯერმე გამოაცხადეს საჰაერო განგაში. ბელგრადში ახორციელებენ უშიშროების გაძლიერებულ ღონისძიებებს ხორვატი ტერორისტების იმ მუქარის გამო, რომ განაგრძობენ ხალხმრავალ ადგილებში აფეთქებათა სერიას. დედაქალაქის საშუალო სკოლებში შემოღებულია მშობელთა ღამის მორიგეობა სკოლის შენობათა დანაღმვის თავიდან აცილების მიზნით.

ტანიუგის ცნობის თანახმად, ხორვატიის შინაგან საქმეთა სამინისტროს და ხორვატიის გვარდიელთა ქვეგანაყოფებმა მოხსნეს ზაგრებში იუგოსლავიის სახალხო არმიის მეხუთე სამხედრო ოლქის შტაბის ბლოკადა. როგორც ყველაფრიდან ჩანს, აღნიშნავს სააგენტო, ასეთი ღონისძიებანი განხორციელდა არმიისა და რესპუბლიკურ ხელისუფალთა წარმომადგენლების მოლაპარაკების შემდეგ, რომელშიც ევროპის გაერთიანებათა მისიის წევრები მონაწილეობდნენ.

ხორვატიაში სიტუაციის უკიდურესი გამწვავების გამო, სამშაბათს არ გაიმართება იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდიუმისა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს (მთავრობის) დაგეგმილი გაერთიანებული სხდომა. ეს ორშაბათს ჟურნალისტებს აცნობა იუგოსლავიის პრემიერმა ანტე მარკოვიჩმა. იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდიუმმა, რომელიც ასრულებს სახელმწიფოს კოლექტიური მეთაურისა და შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის მოვალეობას, მხარი არ დაუჭირა ქვეყნის მთავრობის მიერ წამოყენებულ ინიციატივას გაერთიანებული სხდომის გამართვის შესახებ, თქვა ა. მარკოვიჩმა.

ხორვატიის უმაღლესმა სახელმწიფო ვეჩემ ორშაბათს გამართულ სხდომაზე დიდი შეფასება მისცა რესპუბლიკის დაცვისა და მისი სუვერენიტეტის დამკვიდრების ღონისძიებებს. ამას იუწყება ხორვატიის ინფორმაციის სამინისტრო. ორშაბათს ხორვატიის დედაქალაქ ზაგრების თავდაცვის შტაბმა გასცა განკარგულება, რომ განხორციელდეს დამატებითი ღონისძიებანი შესაძლო თავდასხმისაგან ქალაქის დასაცავად. ამ მიზნით აკრძალულია ტრანსპორტის მოძრაობა შუქშენიღბვის სპეციალური საშუალებების გარეშე და საჰაერო განგაშის გამოცხადების დროს.

„ამერიკის ხმა“ საბჭოეთის შესახებ

„ამერიკის ხმის“ კორესპონდენტი იუწყება, რომ, როდესაც საბჭოთა კავშირში ძალაუფლება გადავა რესპუბლიკების ხელში, ქვეყანა დაუპირისპირდება სამხედრო ხასიათის პრობლემებს. გამოწვეულს პოლიტიკური დაშლის პროცესით.

საბჭოთა კავშირის მრეწველობის დიდი ნაწილი სამხედრო მიზნებს ემსახურება. მრავალი მეთვალყურის აზრით, საბჭოთა კავშირის უზარმაზარი სამხედრო მრეწველობის სამოქალაქო მიზნებისთვის გარდაქმნა დაკავშირებულია პრობლემებთან, ქვეყნის მრეწველობის დაახლოებით ერთი მესამედი ემსახურება სამხედრო მიზნებს. სამხედრო ხარჯების მნიშვნელოვანი შემცირების შემთხვევაში საბჭოთა კავშირში იქნება მასობრივი უმუშევრობა, რამაც შეიძლება 25 პროცენტს მიაღწიოს მომავალი წლის ამ დროისათვის. მაგალითად, სანქტ-პეტერბურგში და მის შემოგარენში ქარხნების 70 პროცენტი სამხედრო საჭურველს ამზადებს. სწორედ ამიტომ, სამხედრო ხარჯების მნიშვნელოვანი შემცირება შესაძლოა ნიშნავდეს ეკონომიკურ რღვევას, რაც შეიძლება 5 წლის მანძილზე გაგრძელდეს. თუ მხედველობაში მივიღებთ წარსულში სამხედრო მრეწველობის სამოქალაქოდ გარდაქმნის ნელ ტემპებს, ნათელი არ არის, თუ როდის დაიწყებს სამხედრო მრეწველობა სამოქალაქო პროდუქციის გამოშვებას. შეერთებული შტატების სამხედრო სპეციალისტის უილიან სკოტის აზრით, საბჭოთა სამხედრო მრეწველობის გარდაქმნა საკმაოდ ძნელი იქნება. მთელი 20 წლის განმავლობაში, საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებში ეროვნული შემადგენლობა იმ ეროვნებების სასარგებლოდ შეიცვალა, რომლებიც პოლიტიკურად და კულტურულად უფრო დაბალი განვითარებისა არიან. დღეს ქვეყნის შეიარაღებული ძალების კონტინგენტის თითქმის ნახევარი რუსი არ არის. გასული რამდენიმე წლის განმავლობაში ძალზე შემცირდა სამხედრო სამსახურში გაწვევა, ვინაიდან საბჭოთა მოქალაქეების დიდმა ნაწილმა, განსაკუთრებით არარუსებმა, არაფრად ჩააგდეს სამხედრო სამსახურში გაწვევის უწყებები. კანადის უნივერსიტეტის სპეციალისტის ტერეზა ჰალსტონის აზრით, ქვეყანაში ეროვნული დანაყოფები, დამოუკიდებელი რესპუბლიკების მილიციის გაძლიერებასთან ერთად, შესაძლოა ქვეყანაში სამოქალაქო ომის მიზეზი გახდეს. ბირთვული შეიარაღების სარდლობა და მისი კონტროლი კიდევ ერთი სხვა საკითხია, რომელიც საბჭოთა კავშირის წინაშე დადგა იმ დროს, როდესაც გასულ თვეში მარცხით დამთავრდა სახელმწიფო გადატრიალების ცდა. ახლა, საბჭოთა კავშირის მობილური და ცალკე ბაზირებული საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტები განლაგებულია რუსეთის, ბელორუსიისა და ყაზახეთის რესპუბლიკებში. მაგრამ ბირთვული იარაღით აღჭურვილი საბჭოთა სამხედრო-საჰაერო ძალების ბომბდამშენების და სამხედრო-საზღვაო ბაზები გაფანტულია მთელი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირის სტრატეგიული დანიშნულების ბირთვული იარაღის ამოქმედება უფრო ძნელია, ვიდრე შეერთებულ შტატებში, მათი გაშვებისათვის საჭიროა როგორც სამოქალაქო, ასევე სამხედრო ლიდერების ბრძანებები. ამ იარაღის განლაგება გაისად შეიძლება მსოფლიო სტაბილურობის პრობლემად იქცეს. მაგალითად, შარშან საბჭოთა კავშირის სტრატეგიული სარაკეტო ძალების ერთ-ერთ სარაკეტო ბაზაში ჯარისკაცებმა ჩამოაყალიბეს საგაფიცვო კომიტეტი და დაიმუქრნენ სარაკეტო სილოსების მიტოვებით, თუ მათი მოთხოვნები კვების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით არ იქნებოდა დაკმაყოფილებული. მრავალი ანალიტიკოსი ამბობს, რომ თუ ქვეყანა დაიშალა, საბჭოთა კავშირს აღარ ექნება სუპერსახელმწიფოს როლის შესრულების უნარი. თუ ასეა, რა მდგომარეობაში მოექცევა შეიარაღებისადმი კონტროლი. საბჭოთა თავდაცვის საკითხების ანალიტიკოსებმა ამის თაობაზე თქვეს, რომ იმათთვის საერთაშორისო პოლიტიკის ცენტრიდან წარმართვა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სამხედრო პოლიტიკის კონტროლის ცენტრიდან. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ რესპუბლიკას შესაძლოა ჰქონდეს საგარეო პოლიტიკის ფორმირების მეტი საშუალება, მათთვის ზიანის მომტანი იქნება შეიარაღების კონტროლის ხელშეკრულებების უგულვებელყოფა. რომლებზეც უკვე ხელი მოწერილი აქვს ყოფილ საბჭოთა კავშირს.

საფრანგეთის პოზიცია

საფრანგეთი ხუთშაბათს ჰააგაში ევროპის გაერთიანების და დასავლეთ ევროპის კავშირის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების მომავალ შეხვედრაზე დაიცავს იუგოსლავიაში „მშვიდობის შენარჩუნების ძალების“ შექმნის იდეას, განაცხადა აქ საფრანგეთის საგარეო-პოლიტიკური უწყების წარმომადგენელმა.

იუწყება რა ამას, ფრანს პრესის სააგენტო აღნიშნავს, რომ საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელი როლან დიუმა ორჯერ შეხვდა ორშაბათს თავის გერმანელ კოლეგას ჰანს-დიტრიხ გენშერს, რომელსაც ამჟამად დაკისრებული აქვს დასავლეთ ევროპის კავშირის თავმჯდომარის მოვალეობანი, და სთხოვა მას რაც შეიძლება მალე მოიწვიოს ევროპის ამ სამხედრო სტრუქტურის სხდომა იუგოსლავიაში შექმნილი სიტუაციის განსახილველად. რ. დიუმა შეხვდა აგრეთვე ნიდერლანდების საგარეო საქმეთა მინისტრს ჰანს ვან დენ ბრუკს, რომელიც ამჟამად თავმჯდომარეობს ევროპის გაერთიანებაში.

ვაიგელის მომავალი ვიზიტი

გერმანიის ფინანსთა მინისტრი თეოდორ ვაიგელი 23 სექტემბერს ეწვევა მოსკოვს, რათა შეხვდეს სსრ კავშირის პრეზიდენტს მიხეილ გორბაჩოვსა და რუსეთის პრეზიდენტს ბორის ელცინს. როგორც გაზეთი „ველტ ამ ზონტაგი“ იუწყება, მოლაპარაკების დროს განიხილავენ დასავლეთის მხრიდან საბჭოთა კავშირისათვის დახმარების გაწევის საკითხებს.

გერმანიის ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლებზე დაყრდნობით გაზეთი აღნიშნავს, რომ ვაიგელის ვიზიტის მიზანი იქნება გამოარკვიოს რა წანამძღვრებია შექმნილი სსრ კავშირში აგვისტოს გადატრიალების ჩაშლის შემდეგ დასავლეთის დახმარების ეფექტიანი გამოყენებისათვის და ვინ მოგვცემს კრედიტებით ვალის გასტუმრების გარანტიას — ცენტრი თუ რესპუბლიკები. ფინანსთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენლის განცხადების თანახმად, არ უნდა მოველოდეთ, რომ ვიზიტის დროს გამოცხადდება. გერმანიის მხრიდან საბჭოთა კავშირისათვის ფინანსური დახმარების გაწევის კონკრეტული ვალდებულებანი. გერმანია კვლავაც მხარს უჭერს იმას, რომ მას ერთობლივი დახმარება გაუწიოს ყველა სახელმწიფომ, მათ შორის ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და იაპონიამ, ხაზგასმით აღნიშნა მან.

სურათზე: გაეროს ვენის შტაბბინა.

ობიექტივში ავსტრია

დღეს მსოფლიოს საზოგადოების ყურადღება გარკვეულწილად გაერთიანებული ერების ორგანიზაციისკენ არის მიმართული, სადაც გენერალური ასამბლეის 46-ე სესია მიმდინარეობს. მან ბალტიისპირეთის რესპუბლიკების დამოუკიდებლობის საკითხი უნდა განიხილოს.

გაეროს შტაბ-ბინა ნიუ-იორკშია, მაგრამ ბევრმა შეიძლება არ იცოდეს, რომ გაეროს ნიუ-იორკის გარდა შტაბ-ბინები ჟენევაში და ვენაშიც აქვს. გაეროს ვენის შტაბ-ბინის შენობის ავტორია ავსტრიელი არქიტექტორი იოჰან შტაბერი. შენობა 1979 წელს აშენდა და ვენის ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობად ითვლება. მიწის ფართობი, რომელზეც გაეროს ვენის შტაბ-ბინა აშენდა, 99 წლით არის ნაყიდი და ფორმალურად ავსტრიას არ ეკუთვნის. ქვეყნის მთავრობა მიწის გაქირავებით წლიურად სიმბოლურ თანხას.. ერთ შილინგს იღებს. ვენის შტაბბინაში გაეროს რამდენიმე განყოფილება და ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო (მაგატე) არის მოთავსებული. აქვეა სამრეწველო განვითარების ბიურო (იუნიდო) და რამდენიმე საქველმოქმედო ორგანიზაცია.

„ვენის გაეროს“ 23 ჰექტარი ტერიტორია უკავია. შენობების კომპლექსში 4 ათასი ტელეფონი, 6 ათასი კარი, 53 ლიფტი და 24 ათასი ფანჯარაა, რომელთაგან არც ერთი არ იღება, რადგან ჰაერი ყველგან ხელოვნურად ნიავდება. ავტოსადგომებს ერთბაშად ორიათასხუთასი ავტომობილის მიღება შეუძლიათ. „ვენის გაერო“ თვალსაჩინო როლს ასრულებს ევროპის აღმოსავლეთი და დასავლეთი ნაწილების ურთიერთდასაკავშირებლად, მთელს მსოფლიოში სტაბილურობის შესანარჩუნებლად.

●

პოლონეთის სეიმის გადაწყვეტილება

თანამედროვე პირობებში ქვეყნის რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის მთელი სისტემის ახალი მოდელი დაამტკიცა პოლონეთის სეიმმა.

პოლონეთის რადიოსა და ტელევიზიის შესახებ კანონს საფუძვლად უდევს სახელმწიფო ორგანოებისაგან მათი სრული დამოუკიდებლობის პრინციპი და... ეკონომიკური დამოუკიდებლობა. ამ პრინციპების გარანტი გახდება სრულიად პოლონეთის რადიოსა და ტელევიზიის საბჭო, რომელიც განსაზღვრავს ამ დარგში მთელ პოლიტიკასა და ხელისუფლების სისრულეს.

სრულიად პოლონეთის რადიოსა და ტელევიზიის საბჭოს ამოცანებში, რომელიც იმოქმედებს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროსთან ერთად, შედის ძირითადი პროგრამების დამტკიცება, რადიომიმღებებით და ტელევიზორებით სარგებლობის სააბონენტო საფასურის დაწესება. ეროვნული რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის განვითარების, მათი ტექნიკური აღჭურვის სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავება, დაფინანსების საშუალებათა ძიება.

შეზღუდა ექსპერტების საქმიანობა

ერაყმა მთელი რიგი პირობებით შეზღუდა გაერთიანებული ერების ორგანოების ექსპერტების მიერ ვერტმფრენების გამოყენების შესაძლებლობა თავიანთ ტერიტორიებზე ინსპექციის მოსაწყობად, ნათქვამია წერილში, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ერაყის მუდმივმა წარმომადგენელმა აბდელ-ამირ ალ-ანბარიმ გადასცა უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეს ჟან-ბერნარ მერიმეს (საფრანგეთი).

როგორც ცნობილია, პარასკევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ სერიოზულად გააფრთხილა ერაყი იმასთან დაკავშირებით, რომ მან ნება არ დართო ინსპექტორებს გამოიყენონ თავიანთი ვერტმფრენები. ამჟამად ერაყის მიერ წამოყენებული პირობები გულისხმობს აეროფოტოგადაღებათა გამოყენების, აგრეთვე ორ კვირამდე ვადით ფრენის შეზღუდვის აკრძალვას. გარდა ამისა, ერაყის ხელისუფალნი მოითხოვენ, რომ მათი წარმომადგენლები ვერტმფრენებში იყვნენ ინსპექციის დროს. წინათ ამას დაეთანხმნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერაყის განიარაღების სპეციალური კომისიის წევრები.

შეიქმნა ლიტველ პოლონელთა დაცვის კომიტეტი

პოლონეთის პოლიტიკურ მოღვაწეთა და მეცნიერების წარმომადგენელთა ჯგუფმა ვარშავაში შექმნა ლიტვაში ვილნიუსის მხარეში მცხოვრებ პოლონელთა დაცვის სამოქალაქო კომიტეტი.

როგორც პოლონეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, კომიტეტი მიზნად ისახავს მიაღწიოს, რომ ლიტვის ხელისუფლებმა გააუქმონ გადაწყვეტილება ლიტვის ვილნიუსისა და შალჩინინკაის რაიონებში პოლონეთის თვითმმართველობის საბჭოების დათხოვნის შესახებ და შეასრულონ ყველა გადაწყვეტილება, რომლებიც ამ რესპუბლიკის პარლამენტმა მიიღო 1991 წლის 29 იანვარს რაიონებისათვის განსაკუთრებული სტატუსის, საკუთარი ადმინისტრაციული სტრუქტურის მინიჭების, კულტურის, განათლების დაწესებულებათა, პოლონეთის უნივერსიტეტის შექმნის შესახებ.

კომიტეტს განზრახული აქვს პოლონეთის ხელისუფალთ გადაადგმევინოს ენერგიული ნაბიჯები ამ მიმართულებით. გარდა ამისა კომიტეტი სისტემატურად გამართავს კონსულტაციებს ლიტვაში პოლონელთა უმცირესობის წარმომადგენლებთან, რაც საჭიროა ამ რესპუბლიკის მიმართ პოლონეთის პოლიტიკის ფორმირებისათვის.

გონსალესის გამოსვლა

სსრ კავშირში მიმდინარე ამბები უეჭველად პრობლემაა ევროპისათვის, მთელი მსოფლიოსათვის. ჩვენ დაგვიდგა უდავოდ ისტორიული პერიოდი, როცა საგანგებო ცვლილებანი ხდება სსრ კავშირში, აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებში, რომლებიც განმსაზღვრელ გავლენას მოახდენენ ყველა ჩვენგანზე, ყველა დარგში, განსაზღვრავენ არა მარტო საგარეო პოლიტიკას, არამედ ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებასაც. ეს განაცხადა ესპანეთის მთავრობის თავმჯდომარემ ფელიპე გონსალესმა ტელევიზიით გამოსვლისას.

მსოფლიოში შექმნილ მდგომარეობას, თქვა მან, განსაზღვრავს ის, რომ ახლა ლიკვიდირებულია ძველი წყობილება — ბლოკური პოლიტიკის, „ცივი ომის“, „შიშის წონასწორობის“, ორი სისტემის — კომუნისტურისა და კაპიტალისტურის კონფრონტაციის წყობილება. მაგრამ აუცილებელია შევქმნათ ახალი წყობილება, საერთაშორისო ურთიერთობის ახალი სისტემა. ამ საქმეში ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებას ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება.

მოლაპარაკება მაროკოში

კასაბლანკაში — მაროკოს სამეფოს ეკონომიკურ დედაქალაქში ორშაბათს მუშაობა დაამთავრა არაბთა მაღრიბის კავშირის პრეზიდენტის საბჭოს მე-4 სესიამ. მოლაპარაკების დროს, რომელიც ორ დღეს გაგრძელდა, მაროკოს, ალჟირის, მავრიტანიის, ტუნისის ხელმძღვანელებმა და ლიბიის წარმომადგენლებმა რეგიონის ქვეყნების ეკონომიკური განვითარების პრობლემათა განხილვის გარდა დიდი ყურადღება დაუთმეს კავშირის ძირითადი სტრუქტურების განლაგების საკითხს. ამ პრობლემის გადაუჭრელობა ბოლო დრომდე აფერხებდა ერთიანი მაღრიბის მშენებლობის გეგმების რეალიზაციას.

როგორც მაღრიბის დეპეშათა სააგენტო იუწყება, მიღებულია გადაწყვეტილება, რომ მაროკო მიიღებს არაბთა მაღრიბის კავშირის მუდმივმოქმედი ორგანოს — გენერალური სამდივნოს შტაბბინას.

ცვლიან ბრალდების ფორმულირებას

რუმინეთის სამხედრო პროკურატურის წარმომადგენელმა მოითხოვა 1989 წლის დეკემბერში გენოციდში თანამონაწილეობის ბრალდებით დაპატიმრებული „სეკურიტატის“ და შინაგან საქმეთა სამინისტროს 25 ყოფილი თანამშრომლიდან 11 განსასჯელის მიმართ სასამართლო დევნის შეწყვეტა. როგორც იუწყებიან სატელევიზიო ახალი ამბების გამოშვებაში, ეს განსასჯელები უნდა გაათავისუფლონ ამნისტიით, ხოლო სამი სხვა, მათ შორის კონტრდაზვერვის სამმართველოს ყოფილი უფროსი თეოდორესკუ, რომელთა დასაცავად გამოვიდა მრავალი რუმინული გაზეთი, — გაამართლონ. დანარჩენი 11 განსასჯელის მიმართ, როგორც პროკურატურის წარმომადგენლის გამოსვლიდან ჩანდა, ფორმულირებას „გენოციდში თანამონაწილეობისათვის“ შეცვლიან „მკვლელობასთან დაკავშირებული განსაკუთრებით საშიშ დანაშაულობათა ჩადენით“.

საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსამსახური გვატყობინებს

1990 წლის 11-23 აგვისტოს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მთავარი სამმართველოს კონიუნქტურისა და ინფორმაციის განყოფილების გამგე ბ-ნი გ. თხინვალელი და მისი მოადგილე ბ-ნი გ. მიქაბერიძე კანადის ალბერტის პროვინციის მთავრობის ვაჭრობისა და ტურიზმის საკითხების სრულუფლებიანი რწმუნებულის ბ-ნ ჰორსტ შმიდტის ინიციატივით მიწვეული იყვნენ კანადაში. ვიზიტის მიზანი იყო საქართველოს და ალბერტის პროვინციის საქმიანი წრეების გაცნობა და დაახლოება, ეკონომიკური კავშირების შემუშავება და გაღრმავება, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის სამთავრობო და საქმიანი წრეების ვიზიტის მომზადება.

ალბერტის პროვინციის ქალაქ კალგარიში გაიმართა მოლაპარაკება სავაჭრო პალატის ხელმძღვანელობასთან, რომლის საფუძველზეც 1992 წლის თებერვალში ქართველი მეწარმეების მონაწილეობით მოეწყობა სემინარი. აქვე მოეწყო შეხვედრა ტელეკომუნიკაციის კომპანია „ინოვატელის“ ხელმძღვანელობასთან, შეხვედრისას განიხილეს საქართველოს ტელეკომუნიკაციის არასახარბიელო მდგომარეობა და დაისვა საკითხი, რათა საქართველოში მოავლინონ კანადელი სპეციალისტ-ექსპერტები.

სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ საქართველოს მხარე ოფიციალურად მიიწვიეს ქ. მონრეალში მეღვინეობის საერთაშორისო გამოფენა-ვაჭრობაზე, რომელიც 1992 წლის აპრილის თვეში გაიმართება.

ჩვენს დელეგაციას ჰქონდა შეხვედრები კომპანია „როჯი მაუნთინს პროგრესინგ ლ. ტ. დ.-ს“ ხელმძღვანელობასთან. მათ განიხილეს ცხოველებისთვის გრანულირებული საკვების ახალი ტექნოლოგიის საქართველოში დანერგვის საკითხი. დიდი დაინტერესება გამოხატა კომპანია „კოზაკ მაინინგის“ ხელმძღვანელობამ საქართველოში ოქროს საბადოების გამოკვლევის, დამუშავებისა და შემდგომი განვითარების თაობაზე. კომპანია „გრასმედიკ-ის“ ხელმძღვანელობასთან შეხვედრისას დიდი ყურადღება დაეთმო ავტო-ტექმომსახურების გაუმჯობესებისათვის ერთობლივი საწარმოს შექმნას, ხოლო ქ-ნ კარინ ტაუზერმა იკისრა საწყის ეტაპზე ამ საწარმოს დაფინანსება. პოლონური ემიგრაციის წარმომადგენლებთან შეხვედრისას, რომელიც კანადურ საქმიან წრეებში მნიშვნელოვან ფინანსურ ძალას წარმოადგენს, საუბარი ეხებოდა დიდ საინვესტიციო თანხებს, საქართველოში პლასტმასის ბოთლებისა და პაკეტების წარმოების განვითარებას.

რაც შეეხება პოლიტიკურ ასპექტს, ამ მხრივ ჩვენს დელეგაციას შეხვედრა ჰქონდა კანადის ფედერალური მთავრობის პარლამენტის წევრთან ბ-ნ სკოტ ტორკელსონთან. შეხვედრის დროს განიხილეს საერთაშორისო სარბიელზე საქართველოს გასვლისა და შემდგომი განვითარების პერსპექტივა. გაიმართა შეხვედრა კანადის საგარეო საქმეთა სამინისტროს, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის დეპარტამენტის პასუხისმგებელ მუშაკებთანაც, სადაც ფართოდ გააშუქეს აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე მოვლენები და კერძოდ საქართველოს როლი ამ პროცესებში.

* * *

1990 წლის აგვისტოში ირლანდიურმა ფირმამ „აერ რიანტა ინტერნეიშენელმა“, თბილისის საქალაქო საბჭომ და გაერთიანება „გეოკომმა“ დააარსეს ერთობლივი საწარმო „ჯ. ს. ა.“, რომლის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა კომპიუტერული სისტემის განვითარება საქართველოში.

თბილისში უნდა გახსნილიყო სავალუტო მაღაზია, რომლის გახსნაც გარკვეული მიზეზების გამო ვერ მოხერხდა. ამის შემდეგ საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს შუამდგომლობით მოეწყო შეხვედრები ჩვენს პარტნიორებთან, რის შედეგადაც მიღწეულია შეთანხმება კონსიგნაციის სახით სავალუტო ვაჭრობის თაობაზე. აღსანიშნავია, რომ ამგვარი შეთანხმება დიდ სავალუტო შემოსავალს მოუტანს საქართველოს და „საქინვალუტვაჭრობას“ თავისი სავაჭრო ქსელის განვითარების საშუალებას შეუქმნის.

საბოლოო ხელშეკრულების დასადებად 28-31 აგვისტოს „საქინვალუტვაჭრობის“ ხელმძღვანელობა და საგარეო საქმეთა სამინისტროს საგარეო ეკონომიკური მთავარი სამმართველოს თანამშრომლები გაემგზავრნენ ირლანდიაში. დაიდო საბოლოო კონტრაქტი, რომლის საფუძველზეც ირლანდიის მხარე მაღაზიას უზრუნველყოფს საქონლით, ხოლო ანგარიშსწორება მოხდება ამ საქონლის რეალიზაციის შემდეგ. მაღაზიის გახსნა განზრახულია 1991 წლის 15 ოქტომბერს.

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა მთავარი სამმართველო თავისი არსებობის ნახევარი წლის მანძილზე ინტენსიურად ამყარებს კონტაქტებს საზღვარგარეთის საქმიან წრეებთან. გაწეული მუშაობის მნიშვნელოვანი მომენტია ურთიერთობის დამყარება გაერთიანებულ გერმანიასთან, რომელსაც წამყვანი ადგილი უჭირავს ევროპისა და მსოფლიო ეკონომიკაში.

საქართველო-გერმანიის საქმიან ურთიერთობას საფუძველი ჩაეყარა აპრილში, საქართველოს 15-კაციანი დელეგაციის ვიზიტის დროს ბონსა და ფრანკფურტში. საქართველოს დელეგაცია დაკომპლექტებული იყო წამყვანი საწარმოების ხელმძღვანელებით, რომლებსაც შეხვედრა ჰქონდათ გერმანიის შესაბამისი სფეროების წარმომადგენლებთან. ამ შეხვედრის დროს გამოიკვეთა და ჩამოყალიბდა ჩვენი ქვეყნების ეკონომიკური ურთიერთობის ძირითადი მომენტები, კერძოდ, წარმოჩნდა გერმანიაში საქართველო-გერმანიის ერთობლივი ფირმის „არგოს“ გახსნის რეალური პერსპექტივები, რომელიც, პოლიტიკური სტატუსის მიღების შემთხვევაში, ავტომატურად გახდება ამ ქვეყანაში ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკური წარმომადგენლობის დაფუძნების საფუძველი; მიმდინარეობს მოლაპარაკება კონცერნ „მეტალგეზელშაფტთან“ საქართველოს წიაღისეულის ერთობლივი მოპოვება-გადამუშავებისა და მომხმარებლისათვის მიწოდების შესახებ. ეს თავისთავად საშუალებას მოგვცემს გავიდეთ მსოფლიო ბაზარზე ავტორიტეტული და ძლიერი პარტნიორის მეშვეობით; გერმანიის ბანკები „დრეზდენერ ბანკი“ და „დოიჩე ბანკი“ კისრულობენ ორი ქართველი სპეციალისტის მიწვევას სტაჟირებაზე; გამომცემლობა „ლიუბე ფერლაგისი“ აგრეთვე გვთავაზობს ორი-სამი სპეციალისტის მომზადებას თავისი ხარჯებით; და ბოლოს, რაც მეტად მნიშვნელოვანია, — მსოფლიო ბანკმა გამოთქვა თანხმობა საქართველოში დააფინანსოს მიკროელექტროსადგურების მთელი ქსელი თავისი ნდობით აღჭურვილი ექსპერტების მეშვეობით. ეს მიკროელექტროსადგურები წარმოადგენს თანამედროვე ტექნიკის უკანასკნელ სიტყვას — ეკოლოგიურად სუფთა და მაქსიმალური მარგი ქმედების კოეფიციენტით და საშუალებას. მოგვცემს არა მარტო დავაკმაყოფილოთ რესპუბლიკაში არსებული მწვავე მოთხოვნილება ელექტროენერგიაზე. არამედ მოვახდინოთ მისი ტრანსფერირება მეზობელ ქვეყნებში. გარდა ამისა, მსოფლიო ბანკის ექსპერტებმა გამოთქვეს აზრი ამ ელექტროსადგურებისათვის საჭირო დანადგარების საქართველოში წარმოების დაფინანსების შესაძლებლობის შესახებ.

ᲘᲕᲔᲠᲘᲔᲚᲘ

ᲘᲣᲑᲘᲚᲔ

ᲦᲕᲐᲬᲚᲛᲝᲡᲘᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ

ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ წელს დაბადების 100 წელი შეუსრულდა გამოჩენილ მეცნიერს, საქართველოში გეოფიზიკური მეცნიერების ფუძემდებელს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ მიხეილ ზოსიმეს ძე ნოდიას.

ნოდიას სახელი კარგადაა ცნობილი არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, როგორც დიდი მკვლევარის, მეცნიერების ორგანიზატორისა და მაღალი კვალიფიციური სამეცნიერო კადრების აღმზრდელის.

მიხეილ ზოსიმეს ძე ნოდია დაიბადა 1891 წლის 15 აგვისტოს სოფ. აბაშაში, რკინიგზის მოსამსახურის ოჯახში. მამა ადრე გარდაეცვალა და მისი სწავლა-აღზრდის საქმე მთლიანად დედას — ე. ხოფერიას დაეკისრა.

პირველი დაწყებითი განათლება მ. ნოდიამ მიიღო ახალსენაკის სასულიერო სასწავლებელში, ხოლო 1910 წელს დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია ვერცხლის მედლით.

1912 წელს მ. ნოდია შედის ოდესის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის მათემატიკურ განყოფილებაზე. იმ დროს ოდესის უნივერსიტეტის ერთ-ერთი გამოჩენილი მეცნიერი იყო დიდი ქართველი მამულიშვილი პროფ. პეტრე მელიქიშვილი, რომელმაც განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მ. ნოდიას, როგორც საკმაოდ ერუდირებულ და ნიჭიერ სტუდენტს. სამწუხაროდ, მ. ნოდიამ უნივერსიტეტის დამთავრება ვერ მოასწრო, რადგან იგი გაწვეული იქნა რუსეთის არმიაში პირველი მსოფლიო ომის გამო.

1917 წელს დემობილიზაციის შემდეგ იგი დაბრუნდა სამშობლოში. 1919 წელს მ. ნოდია ბრწყინვალედ აბარებს სახელმწიფო გამოცდებს თბილისის უნივერსიტეტში და რექტორატი მას სტოვებს სამუშაოდ პროფესორ ა. დიდებულიძესთან, რომელიც იმ დროს ფიზიკის კათედრის ჩამოყალიბებაზე ზრუნავდა. მ. ნოდია ხელმძღვანელობს ლაბორატორიულ სამუშაოებს და კითხულობს ლექციებს ფიზიკის სხვადასხვა დარგში.

1923 წელს მ. ნოდია პროფესორ ა. დიდებულიძის რჩევით გადადის სამუშაოდ საქართველოს ფიზიკურ ობსერვატორიაში, სადაც სათანადო სტაჟირების შემდეგ სათავეში უდგება ობსერვატორიის ერთ-ერთ ძირითად განყოფილებას — კარსნის მაგნიტურ ობსერვატორიას. აქედან ჩაეყარა საფუძველი მ. ნოდიას, როგორც [illegible] დიდი მეცნიერ-მკვლევარის მაგნეტიზმის დარგში, ჩამოყალიბებას.

1924 წელს მ. ნოდია შეუდგა კარსნის ობსერვატორიაში დაკვირვებების აღდგენას და სათანადო მეცნიერული კადრების მომზადებას. განაახლა შეწყვეტილი აბსოლუტურ დაკვირვებათა რეგულარული წარმოება და უმოკლეს დროში დაამუშავა 1917-1924 წლების განმავლობაში ჩატარებული სავარიაციო დაკვირვებების მასალა. მ. ნოდიას ამ ენერგიული და კომპეტენტური მოღვაწეობის წყალობით გადარჩენილ იქნა მეცნიერული მონაპოვარი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უძველესი მაგნიტური ობსერვატორიისა, როგორიცაა ობსერვატორია თბილისში და მასთან მემკვიდრეობით დაკავშირებული ობსერვატორია კარსანში.

1925 წლის დამლევს მ. ნოდია საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის ბრძანებით დაინიშნა საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის დირექტორად და მას მიენიჭა პროფესორის წოდება. მ. ნოდია მისთვის ჩვეული ენერგიით შეუდგა მუშაობას და ობსერვატორიაში ჩამოაყალიბა რიგი ახალი განყოფილებები: ამინდის სამსახური, აქტინომეტრიული, აეროლოგიური და კლიმატოლოგიური განყოფილებები, რამაც ობსერვატორიის თითქმის ერთი ორად გაფართოება გამოიწვია. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ დროს ობსერვატორიაში მუშაობდა შემდეგში გამოჩენილი მეცნიერი აკადემიკოსი ილია ვეკუა. საქართველოს გეოფიზიკურ ობსერვატორიასთან საზოგადოებრივ საწყისებზე თანამშრომლობდა აკადემიკოსი ნიკოლოზ მუსხელიშვილი.

1927 წლიდან მ. ნოდიას რედაქტორობით ობსერვატორიაში დაიწყო დაკვირვებითი მასალის გამოცემა საერთაშორისო ნორმის გათვალისწინებით. იგი გამოდიოდა ყველა სპეციალობაში „წელიწდეულის" სახით ქართულ, რუსულ და ერთ-ერთ უცხოურ ენაზე და გაცვლის წესით ეგზავნებოდა მსოფლიოს თითქმის ყველა ობსერვატორიასა და დაწესებულებას.

რკინიგზის ელექტროფიცირების გამო, აუცილებელი შეიქმნა კარსნის მაგნიტური ობსერვატორიის გადატანა სათანადოდ შესწავლილ საიმედო ადგილას. ეს ადგილი ელექტროფიცირებულ რკინიგზიდან დაშორებული უნდა ყოფილიყო არა ნაკლებ 30 კმ-სა. ამ პრობლემატური საკითხთან დაკავშირებით 1927 წელს შეიქმნა კომისია პროფ. მ. ნოდიას თავმჯდომარეობით.

კომისიის შემადგენლობაში შედიოდნენ გამოჩენილი მეცნიერები: პროფ ა. დიდებულიძე, პროფ. ა. ჯანელიძე, პროფ. ნ. აკინფიევი და ინჟინერ-ელექტრიკოსი ა. მუსხელიშვილი. კომისიამ ახალი ობსერვატორიის ასაშენებელ ადგილად ქ. დუშეთი მიიჩნია.

სსრ კავშირის მთავრობის დადგენილების საფუძველზე, 1931-1935 წლებში ჩატარდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიის გენერალური, მაგნიტური აგეგმვა, რომლის მეცნიერულ-მეთოდური ხელმძღვანელობა დაევალა მთავარ გეოფიზიკურ ობსერვატორიასთან დაარსებულ საკავშირო მაგნიტურ კომისიას. მ. ნოდიას, როგორც ამ კომისიის პრეზიდიუმის წევრსა და კარსნის მაგნიტური ობსერვატორიის დირექტორს, დაევალა ამიერკავკასიის ტერიტორიის მაგნიტური აგეგმვის ორგანიზაცია და მეცნიერული ხელმძღვანელობა. აღნიშნული ტერიტორიის აგეგმვა ჩატარდა 1931-1934 წლებში.

1933 წლის დამლევს თსუ ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტთან, მ. ნოდიას ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა გეოფიზიკის კათედრა, რომელსაც ის უწყვეტად ხელმძღვანელობდა გარდაცვალებამდე.

იმავე, 1933 წელს, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილებით, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ფილიალის სისტემაში შეიქმნა გეოფიზიკის ინსტიტუტი, რომლის ხელმძღვანელობა, ამავე დადგენილების შესაბამისად, შემდეგი პირებისაგან შედგებოდა: სსრკ მეცნიერებათა აკადემიის სეისმოლოგიური ინსტიტუტის დირექტორი, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პ. ნიკიფოროვი — ინსტიტუტის დირექტორი; პროფესორი, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, შემდგომში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ნ. მუსხელიშვილი — ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე; პროფ. მ. ნოდია — ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე; ა. ცხაკაია — სწავლული მდივანი.

1938 წელს პ. ნიკიფოროვი თავისი სურვილით გადავიდა გეოფიზიკის ინსტიტუტში კონსულტანტის თანამდებობაზე. მ. ნოდია ინსტიტუტის დირექტორად დაინიშნა. გეოფიზიკის ინსტიტუტში დაარსებიდანვე (1933 წლის ნოემბერი) სამი განყოფილება ჩამოყალიბდა ექსპერიმენტული გეოფიზიკის, ე. ი. საძიებო გეოფიზიკის — ხელმძღვანელი მ. ნოდია, თეორიული გეოფიზიკის — ხელმძღვანელი ნ. მუსხელიშვილი, სეისმოლოგიური — ხელმძღვანელი ე. ბიუსი. ამრიგად, გეოფიზიკის ინსტიტუტის ბაზაზე ერთდროულად წყდებოდა ორი ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი — საქართველოში გეოფიზიკის ახალი დარგის, სახელდობრ, საძიებო გეოფიზიკის ჩამოყალიბება და მისი პროგრესული მეთოდების დანერგვა სასარგებლო წიაღისეულთა ძებნა-ძიების საქმეში და მათემატიკურ-თეორიულ კვლევათა განვითარება, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი შემდეგში (1935 წელს) ცალკე მათემატიკური ინსტიტუტის დაარსებას.

1938 წელს პ. ნიკიფოროვი აღნიშნავდა: „მ. ზ. ნოდიას ყოველი მის მიერ ხელში აღებული საქმე მიჰყავს ბოლომდე, ამასთან მ. ნოდია ისწრაფვის მეცნიერული კვლევის შედეგები დაუკავშიროს სოციალისტური მშენებლობის მოთხოვნებს..., პროფ. მ. ზ. ნოდია იყო სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის შემადგენლობაში გეოფიზიკური ინსტიტუტის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი და ორგანიზატორი".

1937 წელს მ. ნოდიას ინიციატივითა და ხელმძღვანელობით გეოფიზიკის ინსტიტუტში შეიქმნა ატმოსფეროს და ჰიდროსფეროს განყოფილება, რომლის ხელმძღვანელობა დაევალა პროფ. ი. ქურდიანს. ასევე მ. ნოდიას ხელმძღვანელობით და ინიციატივით ჩამოყალიბდა გეოფიზიკის ინსტიტუტში (1939) ანტისეისმური მშენებლობის ბიურო, რომელსაც ხელმძღვანელობდა პროფ. ფ. ქ. ზავრიევი. 1941 წელს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაარსებასთან დაკავშირებით, ეს ბიურო შევიდა სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ახლადდაარსებული ინსტიტუტის შემადგენლობაში.

1941 წ. ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი გამოეყო უნივერსიტეტს და შევიდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობაში. იგი შეუერთდა გეოფიზიკის ინსტიტუტს. ინსტიტუტს სათავეში ჩაუდგა მ. ნოდია, რომელიც მას ხელმძღვანელობდა 1943 წლამდე. 1943 წლის დასასრულს პროფ. მ. ნოდიამ პირადი განცხადების საფუძველზე დატოვა ფიზიკისა და გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობა, მაგრამ ის განაგრძობდა ინსტიტუტში შეთავსებით მუშაობას და აქტიურად მონაწილეობდა მის საქმიანობაში.



1953 წელს, სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, თბილისის გეოფიზიკური ობსერვატორიის ბაზაზე (ამჟამად [illegible]) ჰიდრომეტეოროლოგიური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი [illegible] დაარსდა [illegible] წლამდე [illegible].

1941-1948 წლებში [illegible] საქართველოს [illegible] ინსტიტუტის [illegible] ტექნიკის [illegible] ფიზიკის [illegible] თავისი [illegible] გამოც[illegible] დროს [illegible] ვანა. [illegible] ფიზიკის [illegible] ტომად [illegible] მოლე[illegible] წელს [illegible] მასალ[illegible] ა. ცხაკაია [illegible] ავტორი [illegible].

1957-1959 წლებში მ. ნოდია, როგორც გეოფიზიკის ინსტიტუტის [illegible] განყოფილების გამგე, მონაწილეობდა საერთაშორისო გეოფიზიკური წლის ჩატარებაში.

მ. ნოდიას ძირითადი მეცნიერული გამოკვლევები მიძღვნილია დედამიწის მაგნეტიზმის პრობლემებისადმი. იგი ავტორია 116 შრომის, რომელთა შორის 106 გამოქვეყნებულია. აქვე ისიც ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მ. ნოდიას ყველა ძირითადი შრომა პრაქტიკაში დანერგილი და გამოყენებულია. მ. ნოდია იყო აგრეთვე მეცნიერული მიღწევების დიდი პოპულარიზატორიც, მას ეკუთვნის 10 სამეცნიერო-პოპულარული ბროშურა.

დაბეჭდილ შრომათა შორის არის: ორი მონოგრაფია, ხუთი სახელმძღვანელო გეოფიზიკის ძირითად დარგებში და ორი ფიზიკაში, რამდენიმე ათეული შრომა მიძღვნილი კავკასიისა და საქართველოს ტერიტორიაზე მაგნიტური ველის სტრუქტურის, მისი დღე-ღამური, სეზონური და საუკუნებრივი ვარიაციების, სასარგებლო წიაღისეულის მაგნიტური ძიების მაგნიტურ და გეომაგნიტურ გაზომვათა მეთოდიკის, მათი დამუშავებისა და ინტერპრეტაციის საკითხებისადმი.

გაუსის კლასიკური ნაშრომი — „დედამიწის მაგნიტური ძალის ინტენსივობა, აბსოლუტურ ზომაზე დაყვანილი" — დაიბეჭდა 1832 წელს ლათინურ ენაზე, ხოლო მისი თარგმანი გერმანულ ენაზე, რომელიც 1894 წელს ლაიფციგში დაიბეჭდა, შესრულებული იყო დოქტორ კოლის მიერ. მ. ნოდიამ გაუსის შრომის ლათინური დედნისა და მისი გერმანული თარგმანის შედარებისას აღმოაჩინა არასწორად თარგმნილი და გამოტოვებული ადგილები. ამ საკითხისადმი მიძღვნილი შრომა „ზოგიერთი შენიშვნა გერმანული თარგმანისადმი გაუსის შრომისა, „დედამიწის მაგნიტური ძალის ინტენსივობა, აბსოლუტურ ზომაზე დაყვანილი" დაიბეჭდა გერმანულ გეოფიზიკურ ჟურნალში 1962 წელს. ჟურნალმა მ. ნოდიას შრომას მაღალი შეფასება მისცა და იქ აღნიშნული შენიშვნები ყველამ დიდი კმაყოფილებით და მოწონებით მიიღო.

1965 წელს იმავე გერმანულ ჟურნალში დაიბეჭდა მ. ნოდიას მეორე შრომა „პლანეტარულ-მეტეოროლოგიურ პროცესებზე შესაძლებელი ზემოქმედება დედამიწის რადიაციული სარტყლის შემწეობით". იგი გაბედულად ამტკიცებს, რომ კოსმოსური ტექნიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე სრულიად შესაძლებელია დედამიწის რადიაციული სარტყლის გამოყენებით გავლენის მოხდენა პლანეტარულ-მეტეოროლოგიურ პროცესებზე.

1960-1961 წლებში მ. ნოდიამ მოგვცა გაუსის ზემოთდასახელებული შრომის ზუსტი ქართული თარგმანი ლათინური ენიდან.

თსუ ინიციატივითა და მ. ნოდიას ხელმძღვანელობით 1951-1957 წლებში მომზადდა დასაბეჭდად გეოფიზიკურ ტერმინთა რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ლექსიკონები.

1933-1940 წლებში დაიბეჭდა მ. ნოდიას გეოფიზიკის სახელმძღვანელო სამ ნაწილად, რომელიც წარმოადგენს პირველ ქართულ სახელმძღვანელოს გეოფიზიკის დარგში;

თსუ გეოფიზიკის კათედრას, რომელიც დაარსებულია მ. ნოდიას მიერ 1933 წელს და 42 წლის განმავლობაში მისი უცვლელი ხელმძღვანელი იყო, დიდი დამსახურება მიუძღვის მაღალკვალიფიციური მეცნიერული კადრების აღზრდის საქმეში. ამ ხნის განმავლობაში მრავალი ათეული სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციაა დაცული გეოფიზიკის სხვადასხვა დარგში.

მ. ნოდია, როგორც კათედრის გამგე, იყო წევრი თსუ სამეცნიერო საბჭოსი და ფიზიკის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოსი. გარდა ამისა, იგი სხვადასხვა დროს იყო მრავალი სამეცნიერო საბჭოსა და საზოგადოების აქტიური წევრი.

მ. ნოდია აქტიურ მუშაობას ეწეოდა საქართველოს საზოგადოება „ცოდნაში" მისი დაარსებიდანვე (1947 წელი). იგი იყო „ცოდნის" რესპუბლიკური გამგეობის და თბილისის საქალაქო განყოფილების დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს წევრი.

1944 წლის მარტში მ. ნოდიას მიენიჭა საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

მ. ნოდია დაჯილდოებული იყო ორდენებით და მრავალი მედლით.

მ. ნოდია გარდაიცვალა 1975 წლის 4 აგვისტოს. სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე მას არ შეუწყვეტია ზრუნვა გეოფიზიკური მეცნიერების შემდგომ აღმავლობაზე საქართველოში. იმ მეცნიერებისა, რომლის დაარსებასა და აყვავებას შესწირა თავისი ხანგრძლივი და შინაარსით სავსე სიცოცხლე.

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲩᲘᲩᲘᲜᲐᲫᲔ,
გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე;

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ,
გეოფიზიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, პროფესორი;

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲮᲕᲔᲓᲔᲚᲘᲫᲔ,
თბილისის უნივერსიტეტის გეოფიზიკის კათედრის გამგე, პროფესორი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲡ ᲑᲐᲢᲝᲜ ᲖᲕᲘᲐᲓ ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ სამოქალაქო ომის თავიდან ასაცილებლად ეროვნული გვარდია მოგიხმობთ, შეწყვიტოთ მოსახლეობის ურთიერთდაპირისპირება და წაქეზება. შეწყდეს კომუნისტური მეთოდებით საწარმოებიდან ხალხის გამოყვანა და რაიონებიდან ორგანიზებული მასების შემოყვანა თბილისში მშვიდობიანი მოპიკეტეების წინააღმდეგ. თუ დაიწყება თავდასხმა მოპიკეტეებზე, მთელი პასუხისმგებლობა დაეკისრება პრეზიდენტსა და მის აპარატს. ეროვნული გვარდია იტოვებს უფლებამოსილებას, ძმათა შორის სისხლის ღვრის შემთხვევაში იმოქმედოს მის ხელთ არსებული ყველა საშუალებებით, რათა გაუწიოს სრული კონტროლი რესპუბლიკაში შექმნილ ვითარებას.

ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲙᲘᲢᲝᲕᲐᲜᲘ

18. IX. 91.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: ღმერთმა დაგვიფაროს, ძმათა შორის სისხლისღვრა მოხდეს. პასუხისმგებლობა არა მხოლოდ პრეზიდენტსა და მის აპარატს, არამედ ყოველ ქართველს დაეკისრება. ეს კარგად უნდა გაიაზროს ყველამ, ორივე მხარემ უნდა იგრძნოს პასუხისმგებლობა თავისი ხალხისა და მომავლის წინაშე. რაც შეეხება პრეზიდენტსა და მის აპარატს, იქ მდგომარეობის მთელი სირთულე კარგად აქვთ შეგნებული. ამიტომ, ნუ ვიქნებით ძალზე კატეგორიულები ერთმანეთის მიმართ და წინასწარ ნურაფერს დავაბრალებთ ერთმანეთს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მშვიდობიან პიკეტირებასაც თავისი საზღვარი აქვს. იგი არ შეიძლება უსაშველოდ გაგრძელდეს, მითუმეტეს, თუ დესტაბილიზაციას აღრმავებს. დესტაბილიზაცია კი ჩვენი აზრით უპირველესად ეროვნულ საქმეს ავნებს. კიდევ ერთხელ უნდა შევიგნოთ ყველამ ჩვენზე დაკისრებული უდიდესი პასუხისმგებლობა. რაიმე გაუთვალისწინებელ ნაბიჯს ისეთი შედეგები მოჰყვება, ვითარებას კონტროლს არათუ გვარდიის ერთი ნაწილი, ველარავინ გაუწევს.

ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ

ᲒᲕᲔᲥᲜᲔᲑᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲨᲘ ᲒᲐᲖᲘ?

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ გაზის მეურნეობამ დაასრულა მზადება ახლანდელი შემოდგომა-ზამთრის სეზონისათვის. როგორც საქინფორმის კორესპონდენტს აცნობა „საქგაზის" კონცერნის თავმჯდომარემ ბახვა ლობჟანიძემ, სისტემის ობიექტები მზად არიან მიიღონ და უდანაკარგოდ გადასცენ მომხმარებლებს საჭირო რაოდენობის ცისფერი საწვავი. ამისთვის განხორციელდა მოწყობილობის პროფილაქტიკური რემონტი, შეიცვალა მოძველებული აგრეგატები, მიიღეს სხვა ზომები. მაგრამ ნიშნავს კი ეს იმას, რომ სახალხო მეურნეობის საწარმოები, აგრეთვე თითოეული ჩვენგანი, მომხმარებლები, სიცივის დადგომისას არ განვიცდით ამ სათბობის უკმარისობას?

— სამწუხაროდ, კონცერნს არ შეუძლია მოგცეთ საჭირო მოცულობით გაზის შეუფერხებელი მოწოდების გარანტია, — თქვა ბატონმა ბახვამ. — როცა ამას ვამბობ, მხედველობაში მაქვს შარშანდელი ზამთრის მწარე გამოცდილება, როცა გაზის მოწოდების მოცულობა თითქმის ორჯერ შემცირდა და რესპუბლიკის მრეწველობის მუშაობა ფაქტობრივად პარალიზებული აღმოჩნდა.

— მაინც რა იყო იმის ოფიციალური მიზეზი, რომ კავშირი ასე არ „სწყალობდა" საქართველოს?

— საქმე ის არის, რომ სსრ კავშირის სახგაზკონცერნი, რომელიც ჯერჯერობით კვლავ არსებობს და ისევ განსაზღვრავს რესპუბლიკებისათვის სათბობის მიწოდების მოცულობას (მათი უმრავლესობის ფაქტობრივი დამოუკიდებლობის მიუხედავად), შარშან გაზის მოწოდების შემცირების მთავარ მიზეზად ასახელებდა ჩრდილოეთ კავკასია-ამიერკავკასიის მაგისტრალური გაზსადენის ცვეთასა და იმას, თითქოს საშიში ყოფილიყო მისი ექსპლოატაცია. როგორც ცნობილია, კავკასიის მთებში მთელი ამ წლების განმავლობაში შენდება ახალი გაზსადენი. ამჟამად მისი მშენებლობა, რომელიც რამდენადმე გაჭიანურდა ეკოლოგიური უსაფრთხოების დამატებითი სამუშაოების გამო, მთავრდება. ზამთრის დამდეგისათვის იგი გადაეცემა საექსპლოატაციოდ. ასე რომ, შეიძლება ითქვას, ეს მიზეზი აღმოფხვრილია.

— და მაინც, ალბათ, არ შეიძლება იმის დაბეჯითებით თქმა, რომ შეუფერხებლად მოგვაწვდიან გაზს?

— თამამად ამის თქმა არ შეიძლება. ამ ცოტა ხნის წინათ ჩვენი სპეციალისტები ჩავიდნენ მოსკოვში, სადაც დაესწრნენ სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის კომისიის სხდომას. საკოორდინაციო საბჭოზე მიიღეს საქართველოს განაცხადი მიმდინარე შემოდგომა-ზამთრის სეზონში გაზის მოწოდებაზე. მაგრამ კონკრეტული პასუხი დღემდე არ მიგვიღია. ვფიქრობ, რომ აქ თავს იჩენს უფრო პოლიტიკური მოტივები, ვიდრე რაიმე სხვა. მაგრამ აი რისი თქმა მინდა: გაზი იმ მოცულობითაც რომ მივიღოთ, რომელიც არ აღემატება შარშანდელს, უწინარეს ყოვლისა სათბობით უზრუნველყოფთ ისეთი საარსებო მნიშვნელობის ობიექტებს, როგორიცაა პურის ქარხნები, სავადმყოფოები, თბომეურნეობები, აგრეთვე მოსახლეობა. სხვათა შორის, რესპუბლიკის მთელი რიგი ქალაქების, და განსაკუთრებით, თბილისის მცხოვრებლები უჩივიან ზამთრობით ბინებში სითბოს ქრონიკულ უკმარისობას. ეს არ უნდა მოხდეს. შარშან, ისე როგორც გასულ წლებში, სრული მოცულობით იყვნენ უზრუნველყოფილი თბომეურნეობის ობიექტები. თუ ისე იქნება აგრეგატები, სათბობი სისტემა წესრიგში იქნება, ბინებში უნდა იყოს სითბო.

საქინფორმი.

ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐ

ᲓᲐ ᲘᲡᲔᲕ ᲮᲐᲜᲫᲐᲠᲘ

17 **ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ** ხოშტარიას ქუჩაზე, გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსის საწყობებში გაჩნდა ხანძარი. წინასწარი მონაცემებით, როგორც ამ გამომცემლობის ქაღალდის განყოფილების გამგემ მათე დონაძემ გვითხრა, ხანძარი გაჩნდა შესადუღი აპარატის ნაპერწკლის მოხვედრის შედეგად შპალერების რულონებზე, რომლებიც ეკუთვნის კოოპერატივს და ინახებოდა აქ.

— ჩემი გამოანგარიშებით, — თქვა მ. დონაძემ, — ხანძრის შედეგად მოყენებული მატერიალური ზარალი დაახლოებით 30 ათას მანეთს შეადგენს. გაზეთების გამოშვებაზე ეს გავლენას არ მოახდენს.

ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲮᲘᲙᲕᲐᲫᲔ,
საქინფორმის კორ.

მთავარი რედაქტორი ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲤᲐᲩᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ: მთავარი რედაქტორის მოადგილე 99-92-26;
წერილების რედაქცია 99-73-24.
იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო
კორპუსში, ხოშტარიას ქ. № 29.
ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ 64434

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲙᲝᲜᲡᲝᲚᲘᲓᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲖᲘᲗ

1991 ᲬᲚᲘᲡ 12 სექტემბერს ქ. თბილისში გაიმართა საქართველოს ეროვნული იდეოლოგიის ასოციაციის დამფუძნებელი კონფერენცია. გამომდინარე იქიდან, რომ ყოველ ჭეშმარიტად დამოუკიდებელ, თავისუფალ ერს თუ სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს საკუთარი ეროვნული იდეოლოგია, რომელიც ეროვნული ტრადიციების ნიადაგზე აღმოცენდება და მის სულისკვეთებასა და მიზნებს გამოხატავს. ასოციაციის ძირითადი მიზანია მხარი დაუჭიროს ქართული ეროვნული იდეოლოგიის აღდგენას და ქართველი ერის სრულ კონსოლიდაციას. ასოციაციის თავმჯდომარედ აირჩიეს ბ-ნი ზურაბ გაგნიძე, თავმჯდომარის მოადგილედ — ბ-ნი მამუკა გელაშვილი, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ — ბ-ნი მამუკა მარგველაშვილი.

ᲣᲪᲮᲝ ᲔᲜᲐᲡ ᲛᲐᲚᲐᲚᲮᲐᲠᲘᲡᲮᲝᲕᲜᲐᲓ ᲨᲔᲒᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘᲗ „ᲪᲘᲐᲒᲘ"

ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-სასწავლო-მთარგმნელობითი ფირმა გთავაზობთ 1, 2 ან 3 წლიან მომზადებას უცხო ენებში თქვენთვის მოხერხებულ დროს (კვირაში 3-ჯერ 2-2 აკად. საათი), თბილისის სხვადასხვა მიკრორაიონში. წლიური გადასახადი 960 მან. ანგარიშსწორება შეიძლება დაწესებულების მიერაც, ხოლო სწავლება — მისსავე შენობაშიც.

კურსების ხელმძღვანელი — ტ. ბუკია, პედ. მეცნ. კანდ., თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი; კონსულტანტი — პ. პოლი, მოწვეული პედაგოგი აშშ-დან. ცნობებისათვის ტელ. 88-20-87.

ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ!

„**ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ** მცირე საწარმოს გააჩნია შესაძლებლობა გაყიდოს შემდეგი ძირითადი საშუალებები და მასალები:

1. ლითონის ფურცელი მოთუთიებული 0,55 მმ; 6,5 ტონა;
2. დაფანერებული ფარი 171X 55 სმ. 700 ცალი;

უხმარი ლითონდამმუშავებელი ჩარხები:

1. სახარატე 16ე20.
2. სახარატე 16ბ16 კპ.
3. საფრეზე 6ტ83შ.
4. საბურღი 2ნ125.
5. სარანდი 7305.

საკონტაქტო ტელეფონი 95-59-23, 19 საათიდან 22 საათამდე.

ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲡᲐᲠᲔᲙᲚᲐᲛᲝ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ „ᲐᲛᲐᲠᲢᲘ"

ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ᲙᲐᲪᲘ. ᲙᲐᲪᲡ ᲐᲦᲐᲠ ᲘᲜᲓᲝᲑᲡ...

ის, რაც ამასწინათ სოფელ თელეთში მოხდა, სულისშემძვრელია. პენსიონერმა ვლადიმერ ასლამაზიშვილმა სანადირო თოფის ერთი ვაზნა საკუთარ შვილს დაახალა, მეორეთი კი რვა თვის ფეხმძიმე რძალი შორენა სამხარაძე გამოასალმა სიცოცხლეს.

„არა კაც ჰკლა", — ქადაგებს ქრისტიანული მორალი. ჩვენს შერყეულ დროში კი ადამიანთა კვლა ისე გახშირდა, რომ აქედან [illegible] გადამჭრელი ზომები თუ არ მივიღეთ, გარეშე მტერი იმდენს ვერას დაგვაკლებს, რასაც ჩვენ თვითონ ერთმანეთს გავუკეთებთ. თბილისელ რკინიგზელს ვლადიმერ ლისენკოს გული არ მოუკვდებია, როცა ეჭვიანობის ნიადაგზე იმსხვერპლა თავისი საყვარელი, ვაზიანში მცხოვრები ვალენტინა მატინინა, ხოლო თავისი [illegible] დაჭრა ემა ბაბაევა. მკვლელმა თავის თავს თვითონ გამოუტანა განაჩენი, იქვე, სოფელ ვაზიანში, იმავე იარაღით მოიკლა თავი.

გია გახნიკაშვილი 16 წლისაც არ არის, მაგრამ უკვე ბოროტმოქმედად ჩამოყალიბდა. გაიჩინა მეგობარი — ოცი წლით მასზე უფროსი გია ბადურაშვილი. სადგურის ლილოს დასახლებაში, სადაც გია გახნიკაშვილი ცხოვრობს, ისინი ალექსანდრე მახრიაშვილს [illegible], ხოლო მის მეგობარ [illegible] ზესკენაძეს ყელიდან ჩამოგლიჯეს ოქროს ყელსაბამი ოქროს ჯვრით. მერე „ძმაკაცები" [illegible] მანეთს შეეკამათნენ. ამასობაში ადგილზე გაჩნდა დაზარალებულის მეზობელი ნოდარ ჯანველიძე, რომელმაც დანით მძიმედ დაჭრა გია გახნიკაშვილი. ცხადია, [illegible] სასჯელს ითვალისწინებდა, [illegible] ამ ეს არ ამართლებს ჯანველიძეს და პასუხს ისიც აგებს.

[illegible] განხორციელებული ღონისძიებ[illegible] მიუხედავად მრავალი სახის დანაშაულთან გვაქვს საქმე, — [illegible] გარდაბნის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უფროსის მოადგილე თენგიზ მოროტაძე, — [illegible] განსაკუთრებით ქურდობა [illegible], რასაც პროფილაქტიკური ღონისძიებები არ შველის. [illegible], არ ვინდობთ ამ ავაზაკებს. ლენტეხის რაიონის სოფელ ლექსურაში მცხოვრები გ. ლიპარტელიანი, რომელმაც შინდისის მაღაზიაში შეაღწია ტექნიკური საშუალებებით და დიდძალი პროდუქცია მოიპარა, ცხელ კვალზე დავაკავეთ. დროებით უმუშევრები გარდაბნელი გიორგი ამირანაშვილი და იმედა მუსაშვილიც, რომლებმაც სოფელ ჯანდარაში შალვა პერტაიას მოტოციკლიც წაართვეს და ფიზიკური შეურაცხყოფაც მიაყენეს, ცხელ კვალზე დავაკავეთ.

ზღვარი არა აქვს საბჭოთა შეიარაღებული ძალების ჯარისკაცთა თავხედობას. სამხედრო ნაწილ №1690-ის რიგითმა ჯარისკაცმა ოლეგ კოქეხოვმა კრწანისში გაქურდა ომარ კუპატაძის საბაღე სახლი და ფულიც და ნივთებიც საკმაოდ წაიღო, თუმცა არ შერჩა. სამხედროთა წარმომადგენლები არც სხვა დანაშაულს ერიდებიან. სოფელ სართიჭალაში №36979 სამხედრო ნაწილის ავტომექანიკოსს ბილალი მახმუდოვს, რომელიც ვაზიანის სამხედრო დასახლებაში ცხოვრობს, ავტომანქანის სალონსა და საბარგულში აღმოაჩნდა 9 ყუთი კარაქი. მახმუდოვმა უტიფრად განაცხადა, ეს კარაქი უცხო პირისაგან შევიძინე და აზერბაიჯანში ნათესავებთან მიმაქვსო. დამნაშავეს კარაქი ჩამოერთვა და საქნავთობის მაღაზიას გადაეცა სარეალიზაციოდ. მაგრამ ეჭვს არ იწვევს, რომ იგი მან სამხედრო ნაწილიდან გამოიტანა. აქვე იმასაც უნდა მივაქციოთ ყურადღება, რომ უკანასკნელ ხანს გახშირდა საქართველოში მცხოვრები არაქართველი მოსახლეობის მიერ საქონლის მათ ყოფილ სამშობლოში გატანის შემთხვევები, რასაც გზა უნდა გადაეკეტოს.

— კაცი კაცს აღარ ინდობს, — გვითხრა შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უფროსმა ჯემალ ომაყმაშვილმა, — სულს ამოგხდის, ოღონდ თავად გამდიდრდეს. თანაც დაგვისახელა ზოგიერთი მათგანი. თბილისის პირველი ტაქსოპარკის მძღოლმა ისკანდერ ალოიანმა მგზავრს სპიდომეტრით ნაჩვენები 14 მანეთის ნაცვლად 60 მანეთი გამოსძალა. მისი რუსთაველი კოლეგა მიხეილ კობერიძე უფრო „კეთილი" აღმოჩნდა: მგზავრს 13 მანეთის ნაცვლად მხოლოდ 50 მანეთი გადაახდევინა.

გარდაბნის კოოპვაჭრობის №1 მაღაზიის გამყიდველმა ნიზამ იგიდოვმა მომხმარებელს პროდუქტებსა და არაყში ზედმეტი გადაახდევინა, ამასთან კუსტარული წესით დამზადებულ არაყსაც ჰყიდდა. იგი თურმე კოოპვაჭრობის დირექციის ხელშეკრულებით აბრამ აშხამიროვს დაუმზადებია გაფუჭებული 1100 კილოგრამამდე თაფლისაგან. ყოველ შემთხვევაში, ასე განაცხადეს კოოპვაჭრობის მესვეურებმა, სიმართლეს კი გამოძიება დაადგენს.

ფასების წამატება, ზომა-წონაში მოტყუება, საქონლის გადამალვა ერთობ გავრცელებული სენია. გარდაბნის მუშათა კოოპერატივის 24-ე მაღაზიაში დედის მაგივრად ჩამდგარიყო დახლში დროებით უმუშევარი ნიაზ გულმამედოვი და გვარიანად ატყუებდა მყიდველს. ამავე მაღაზიაში მის გამგე-გამყიდველს ბაირამ ისმაილოვს გადამალული ჰქონდა 3562 მანეთის შამპანური, ამავე კოოპერატივის 22-ე მაღაზიის გამყიდველმა ვიდატი გაჯიევმა სურსათში მომხმარებელს ზედმეტი 14 მანეთი დასცინცლა. უფრო გახსნილი მადა აღმოაჩნდა სამგორის მუშათა კოოპერატივის 44-ე მაღაზიის გამყიდველს ილგამ გასანოვს, რომელმაც ერთ კაცს 37 მანეთი წასტაცა. სოფელ ნაზარლოს საოჯახო მაღაზიის გამყიდველი მალიქ ლეზგიევიც თურმე საკმაოდ ითბობს ხელს; მან მომხმარებელს ჩინური წარმოების კონსერვში 85 მანეთის ნაცვლად ასი მანეთი გადაახდევინა.

წესრიგი ყველგან და ყველაფერში, — ბოლოს და ბოლოს, როდის გახდება რეალური ეს უკვე გაცვეთილი ლოზუნგი?

საქინფორმი.

ᲓᲐᲐᲙᲐᲕᲔᲡ ᲜᲘᲕᲗᲘᲔᲠᲘ ᲡᲐᲛᲮᲘᲚᲘᲗ

ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲘᲡ ოფიცრის ზურაბ ყურაშვილის მეთაურობით ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალური ჯგუფი შეიქმნა სოხუმის რკინიგზის სადგურის მილიციის სახაზო განყოფილებაში. მარტო ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში დაკავებულია ოცდაათზე მეტი კაცი, რომლებსაც ანაშა, კოკნარი და სხვა ნარკოტიკული ნივთიერებანი შემოხვდნენ და ყიდდნენ. მათ თითქმის 60 კილოგრამი ნარკოტიკული ნივთიერება ჩამოერთვათ.

ბათუმში ოთხი კილოგრამი კოკნარის გადატანისას დააკავეს ლვოვის ოლქის ქალაქ ჩერვონოგრადის მცხოვრები, უმუშევარი რუსლან ავერინი.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: დაკავებულ რ. ავერინს დაჰკითხავენ სოხუმის სადგურის მილიციის სახაზო განყოფილების უფროსი, პოლკოვნიკი დ. რაფავა და მაიორი ი. ზანთარია; მილიციის სახაზო განყოფილების ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის ოპერატიული ჯგუფის ხელმძღვანელი ზურაბ ყურაშვილი; ჩამორთმეული ნარკოტიკული ნივთიერებები.

საქინფორმის ფოტოქრონიკა.